



ანდაზა

მუსეანი, ქართველოვანი...

კართული ხალხური ადაგისაპი

კრებული შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო
ნატალია ჩხერტიშვილია



ს.ს. „გამოცემლობა აჭარა“
გათუმა – 2021

კრებულში შესულია ნორჩი ფოლკლორისტის, ბათუმის №2 საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლის, ა(ა)იპ ბათუმის მთსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ფოლკლორისტის შემსწავლები წრის წევრის – ნატალია ჩხარტიშვილის მიერ აჭარაში, კახეთში და გურიაში შეკრებილი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველობის ცენტრის ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური სასწავლო-სამეცნიერო არქივიდან ამოკრებილი ქართული ხალხური ანდაზები.

რედაქტორი – პროფესორი **მამია ფალავა**

რეცენზენტი – პროფესორი **მალეაზ ჩოხარაძე**

ტექნიკური რედაქტორი
და დამკაბადონებელი – **მალეაზ ფალავა**

UDC (უკ) 821.353.1-91-84
წ-967

ISBN 978-9941-460-97-5

© ნატალია ჩხარტიშვილი, 2021

© ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, 2021

ანდაზა მითხარ,
ძმობილო,
ანდაზა აზრის ქობია,
სიტყვა წორცია ამ ქობში,
მინდიას მოხარშულია,
ვინც იმას შესჭამს, ღმერთმანი,
ლექსის მთქმელზედაც მჯობია!

(ჩალხური)

„ანდაზა სხარტულად გამოთქმული სიბრძნეა წალხისა,
მთელი საუკუნეების დაკვირვების შედეგი და წარმომზობი“.

(თედო სახოკია)

„ანდაზა ყოველთვის იყო და არის აზრის ღრმად, სხარ-
ტად და მოკლედ გამოხატვის იარაღი“.

(ქსენია სიხარულიძე)

რედაქტორისაგან

ხელთა მაქვს ნატალია (ნატა) ჩხარტიშვილის მოზ-
რდილი წიგნი „ანდაზა მითხარ, ძმობილო...“ (ქართული
ხალხური ანდაზები). ნაშრომი ანდაზების კრებულია.
მასში შეტანილი ფოლკლორული მასალის ნაწილი ავ-
ტორს შეუგროვებია ველზე, ნაწილიც ბსუ ჰუმანიტარ-
ულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგის ცენტრის ფოლკლორულ-დიალექტოლოგიურ არქივში
დაცული ჩანაწერებიდან ამოუკრებია, მცირე, მაგრამ სა-
ყურადღებო წინასიტყვაობა დაურთავს (წინათქმა, ანუ
ჭერ კიდევ ბევრი უნდა ვისწავლო...), ანდაზები ანბანის
რიგზე გაუწყვია და ასე სთავაზობს მკითხველს...

სიამოვნებით ჩავიკითხე წიგნი. მიხარია, რომ ქალბა-
ტონ თინა შიომშვილს, ცნობილ მკვლევარსა და პროფე-
სორს შვილიშვილიც დაემოწაფა, რომელიც მომავალში
მოუვლის ბებიის მრავალფეროვან სამეცნიერო ნაღვაწს
და ღირსეულად გააგრძელებს მის გზას. ეს ბედნიერებაა!

მსიამოვნებს, რომ „ქართველოლოგის ცენტრთან“
ურთიერთობამაც შთააგონა ეს შრომა ახალგაზრდა ავ-

ტორს; ვხედავ, რომ უკვე შეყრია ნატას საექსპედიციო
მუშაობის „ვირუსი“...

მსიამოვნებს, რომ ნატას უკვე შეუძლია აზრის ცხად-
ად ჩამოყალიბება და მკითხველთან დიალოგი, რაც მომა-
ვალი წარმატებული საქმიანობის საწინდარია.

ბევრის თქმა მსურს, მაგრამ... ვღელავ და სათქმელს
თავს ვერ ვუყრი...

ვლოცავ ნატალია (ნატა) ჩხარტიშვილის (უკვე გამ-
ოკვეთილი ინტერესების მქონე შემდგარი მკვლევრის)
მობრძანებას მეცნიერებაში, მის პირველ წიგნს კი დავუ-
ლოცავ მკითხველისაკენ მიმავალ გზას...

გამია ფალავა

19 ოვლისი 2021 წლისა

ფერისცვალება

ჭირათქმა,
ანუ ჯერ კიდევ გევრი უნდა ვისწავლო...

მგონი, ენა ანდაზებითა და ხალხური ლექსებით ამო-
ვიდგი, რასაც ბებიას – ბათუმის უნივერსიტეტის პრო-
ფესორს თინა შიოშვილს ვუმადლი. ჭერაც ვერ ვლაპა-
რაკობდი, მაგრამ ჩემი დაიკოს – ქეთის მიერ ბებიასაგან
ნასწავლ ლექსებსა და ბრძნულ გამონათქვამებს ვისმე-
ნდი და, როგორც ჩანს, ვიმახსოვრობდი... შემდეგ იყო
საბავშვო ბალი, სკოლა... თანდათან ვითავისებდი პატარა
გამონათქვამების აზრს და მივხვდი, რომ ამდაგვარ სი-
ბრძნეთა მოსაპოვებლად მიემგზავრებოდა ბებია ექსპე-
დიციებში...

ბებიას რჩევით, ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდო-
ბის სასახლის ფოლკლორისტიკის შემსწავლელ წრეში
გავწევრიანდი, რამაც გამიათკეცა მისწრაფება მშობელი
ხალხის ზეპირსიტყვიერებისადმი; ამ წრის ხელმძღვანელი
– შესანიშნავი პედაგოგი მაია ჭაფარიძე ყოველ არდადე-
გებზე ფოლკლორული მასალის შეგროვებას გვავალებს
და ძალზე საინტერესო მოხსენებებსაც გვამუშავებინებს.

ცხოვრების მიზნად ხალხური სიბრძნის შეგროვებისა და შესწავლის დასახვა კი 2018 წლის ზაფხულს უკავშირდება, როცა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებთან (მამია ფალავა, თინა შიომშვილი, მალხაზ ჩოხარაძე, მაია ბარამიძე, ნუგზარ მგელაძე, რამაზ ხალვაში, ზაზა შაშიკაძე) და დოქტორანტ ნონა ნიქაბაძესთან ერთად ტაოს ექსპედიციის მონაწილე გავხდი. ეს ჩემი პირველი ექსპედიცია იყო; ვცდილობდი, თავი არ შემერცხვინა (ზებიამ წინასწარ გამაცნო საველე მუშაობის მეთოდები). მეამაყება, რომ 2020 წელს დასტამბულ 1214 გვერდიან კოლექტიურ მონოგრაფიაში „ტაო“ ჩემ მიერ ჩაწერილი მასალაც არის შესული; ეს ჩემთვის უდიდესი მოტივაციაა, რისთვისაც მთელი ცხოვრების მანძილზე გამყვება მაღლიერება ბათუმის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის თანამშრომლების მიმართ – მე მათგან არამარტო ველზე მუშაობის გამოცდილება, არამედ ბევრი ცხოვრებისეული გაქვეთილი მივიღე.

ჩემთვის უდიდესი სიხარული და პასუხისმგებლობა იყო, აგრეთვე, როცა ჩემ მიერ ტაოში ჩაწერილ „იავნანებზე“ დაწერილი მოხსენებით წარვსდექი თბილისში, ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ახალგაზრდა ფოლკლორისტთა მე-19 შეკრებაზე და დიპლომი დავიმსახურე, ხოლო ჩემი ჩანაწერები დაიბეჭ-

და სასახლის კრებულში „ხალხური სიტყვიერების ნიმუშები“.

ანდაზების ეს პატარა კრებულიც ჩემი მიზნისაკენ სწრაფვის გამოხატულებაა. ბებომ მირჩია, ანადაზების შეგროვებით დამეწყო და ისიც გამიმხილა, რომ მათი მოპოვება იოლი საქმე არ არის, რომ ანდაზას აღამიანი სიტუაციიდან გამომდინარე იხსენებს და იშველიებს... ასეც არის, თუმცა, დანამდვილებით ვიცი, რომ ამ პატარა, მაგრამ უდიდესი სიბრძნით გაჭერებულ, მარგალიტებზე ყოველთვის ვიზრუნებ...

ჩემ მიერ შეგროვილ ხალხურ ანდაზებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუ-მანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველო-ლოგიის ცენტრის ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური არქივიდან ამოქრებილი ანდაზების ნაწილიც დავუმატე, რისთვისაც დიდი მადლობა ქართველოლოგიის ცენტრს, მის ხელმძღვანელს – პროფესორ მამია ფალავას.

ამჯერად ანდაზები ანბანთ რიგზე დავალაგე, თუმცა ჩემი ფოლკლორისტი ბებია მიიჩნევს, რომ ანდაზათა საუკეთესო გამოცემა თემატურად უნდა დალაგდეს; მომავალში ასეც იქნება... მანამდე კი ჭერ კიდევ ბევრი უნდა ვისწავლო...

ნატალია ჩხარტიშვილი

05. 07. 2021



„S“

- ❖ ააპრიალა და ველარ ჩააქროო.
- ❖ აასვენა და აღარ დაასვენაო.
- ❖ ა, ბატონო, ბაწარიო, დავით მეფეს გასწავლიო.
- ❖ აბდალა თავის პატრონის ფეხებია ცოდვაო.
- ❖ აბდალი თავის პატრონის ფეხებს მეტი ჯაფა აქ-
ვსო.
- ❖ აგერ დათვი და აგერ კვალიო.
- ❖ აგორებული ქვა მსუბუქიაო.
- ❖ აგორებული ქვა ხავსს ვერ მოიკიდებსო.
- ❖ აგრე როდის წირავს ჩვენი მღვდელიო.
- ❖ აგრე არ უნდა, თაყაო, შენ რომ მამული გაჰყაო.
- ❖ ადათის ამოწყვეტას გვარის ამოწყვეტა ჯობიაო.
- ❖ ადამიანი ადამიანის მალამოაო.
- ❖ ადამიანი ადამიანის წამალიაო.
- ❖ ადამიანი ერთი ფეხით წინაც წავა და უკანაც და-
რჩებაო.
- ❖ ადამიანი შეხედულებით არ იცნობაო.
- ❖ ადამიანის პანლური ვირის წიხლზე უარესიაო.

- ❖ ადამიანს დაბადებიდან სიკვდილამდე სწავლა სჭირდებაო.
- ❖ ადამიანის დაბადება პირველი დღეა, ქორწინება – მეორეო.
- ❖ ადამიანი ღმერთსაც კი დაივიწყებს და ჭამა-სმას ვერაო.
- ❖ ადგომ-დაჯდომით გენილობა არ იქნებაო.
- ❖ ადე – ნახე ჭირიო, დაჯე – ნახე ლხინიო.
- ❖ ადრე ადგომა მეტი სიცოცხლე არიო.
- ❖ ადრე ამდგარსა ყმაწვილსა ღმერთი უმზადებს სადილსაო.
- ❖ ადრე ამდგარსა კურდღელსა ვერ დაეწევა მდევა-რიო.
- ❖ ადრე ამდგარსა კურდღელსა ვერ დაეწევა მწევა-რიო.
- ❖ ადრე ამდგომი შორს წავაო.
- ❖ ადრე ამდგარი ჩიტი ნისკარტს იწმენდსო.
- ❖ ადრე ამდგარი ჩიტი ნისკარტს იწმენდს, მძინარა – თვალებს იფშვნეტსო.
- ❖ ადრე ამდგომსა კურდღელსა ვერ დაეწევა მწევა-რიო.
- ❖ ავადმყოფი რომ მორჩება, ექიმები შესძულდებაო.
- ❖ ავადმყოფს ექიმი არჩენს, უბედურს – კარგი მე-გობარიო.



- ❖ ავადმყოფს ჰკითხვავენ, ჭამა გინდა თუ არაო.
- ❖ ავადობას თუ დაუწექი, იქეთ დაგაწებაო.
- ❖ ავთა მამათა ნაქნარი შვილებსაც მოეკითხებათო.
- ❖ ავია თუ კარგია, ქალო, შენი ქმარია.
- ❖ ავი კაცი აქე და ერიდეო.
- ❖ ავი კაცი აღდგომასაც ავიაო.
- ❖ ავი მეზობლის მოშორება თუ გინდა, რამე ასეს-ხეო.
- ❖ ავი თვალი ბოროტი გულის სარკმელიაო.
- ❖ ავი მეზობელი გერჩივნოს კეთილ ნათესავსაო.
- ❖ ავი მსახური კარგი ვერ იქნებაო.
- ❖ ავი შემნახავი ქურდზე უარესიაო.
- ❖ ავი შემნახავი ქურდის ამხანავიაო.
- ❖ ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო.
- ❖ ავი ცოლის ყოლას ავი ძალლი სჯობსო.
- ❖ ავიფურთხე – ულვაშს მოხვდა, დავიფურთხე – წვერებსაო.
- ❖ ავ კაცს მეზობლის წინილა ბატი ეგონაო.
- ❖ ავმა მოვალემ რაც მოგცეს, გამოართვიო.
- ❖ ავმა რა ქნა ავის მეტიო.
- ❖ ავმა ძალლმა არც თვითონ ჭამა და არც სხვას აჭა-მაო.
- ❖ ავს უნ იზამ და ავისა ნუ გეშინიაო.
- ❖ აზნაურის ბზე კარგია, გლეხი კაცის – პურიო.

- ❖ ათ შემტანს ერთმა გამტანმა აჯობაო.
- ❖ ათასი მტერი სჯობია ერთ უგვანო მოყვარესო.
- ❖ ათასჯერ გაზომე და ერთხელ გადაჭერო.
- ❖ ათი ქილის დასაცლელად ერთი კოვზიც კმარაო.
- ❖ აკრძალული ხილი გემრიელია.
- ❖ ალალი ხუთი კაპიკი არამ მიღიონ კაპიკს ჯობიაო.
- ❖ ალვის ხე, ცამდე ასული, ჭიანჭველას წაუქცევია.
- ❖ ამაყი ქალის დამცირება შეიძლება, გატეხვა – არაო.
- ❖ ამხანაგის ყოლა ბატონის ყოლას უდრისო.
- ❖ ამხანაგს ნუ უღალატებ, სხვის ოფლს ნუ მიეტანებიო.
- ❖ ამ ქვეყნისა ქონებასო ხერხი უნდა ხმარებასო.
- ❖ ამინდი მუშაობდა და კაცი თავისას იკვეხნიდაო.
- ❖ ამოღებული ხმალი პურ-მარილმა ჩააგოო.
- ❖ ამპარტავანი შვილი თავსაც დაღუპავს და ოჯახ-საცო.
- ❖ ამქვეყნად სიკეთის ფასი არაფერიაო.
- ❖ ამღვრეულ წყალში თევზი ადვილად დაიჭირებაო.
- ❖ ამყოლს აყევი, დამყოლს დაყევი და ნაპირზე გახვალო.
- ❖ ამხანაგობაში ფუთობით აწონე, ვაჭრობაში – მის-ხლობითო.
- ❖ ანაღვლე ბრმას სინათლის სიძვირეო.



- ❖ ან ზღვაზე უნდა იდგე კაცი, ან – მთაზეო.
- ❖ ან ლვინო უნდა იყო, ან – წყალიო.
- ❖ ანს დახედე, ბანს დახედე, სიგრძესა და განს გახედე.
- ❖ ანნლი არ მოგცემს ყურძენსო.
- ❖ აპატიეს მელასაო,
მოუმატა კბენასაო.
- ❖ არდანში ხარი მანათი ღირს, მარა შენ რა?
- ❖ არ ვიცი ერთია, ვიცი – ათასიო.
- ❖ არ ვიცის დედა იცინოდა, ვიცის დედა ტიროდაო.
- ❖ არ უგვარობს მწყერსაო, არ შახდების ხესაო.
- ❖ არ მოკვდება არასოდეს, ვინც არ დაიბადებაო.
- ❖ არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი.
- ❖ არმად ნაშენი არმად წახდებაო.
- ❖ არმინდამ თეფში მოასუფთაო.
- ❖ არმინდამ ქვეყანა დააქციაო.
- ❖ არმინდამ ცხრა ხინკალი შეჭამაო.
- ❖ არმინდამ ცხრა ჯამი ლობიო შეჭამაო.
- ❖ არსიანზე დოდოფალი სამობდა, არვინ იყო მადლიერიო.
- ❖ არც ბერი მოკტა, ვერც ქვრივი გაეთხვა და ორივე გაჭირვებაში ჩავარდაო.
- ❖ არცოდნა არცოდვააო.
- ❖ არწივს საკენკით ვერ გააძლებო.

- ❖ ასი დამკარ და ერთი მათქმევინეო.
- ❖ ასი ურტყი დავითასა, მაინც იტყვის თავისასა.
- ❖ ასი წლის დედალს ერთი წლის მამალი სჯობსო.
- ❖ ასმა სულმა ცხვარმა ერთ ხეს შეჰპლავლა და ხე გახმაო.
- ❖ ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერიო.
- ❖ ატეხილს თავი გაუტყდებაო.
- ❖ აუტკივარ თავს ძალად ნუ აიტკენო.
- ❖ აქლემი ახლოს ძოვს და უკან შორს იხედებაო.
- ❖ აქლემი ისე არ დავარდება, რომ ვირის საპალნე არ აიკიდოსო.
- ❖ აქლემზე მჯდომს დიდი ჭიშკარი უნდაო.
- ❖ აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ორთავე ქურ-დიაო.
- ❖ აქლემები წავიდნენ, კოზაკი შუაში გაჭყლიტესო.
- ❖ აქლემს უთხრეს, კისერი გაქვს მრუდეო და – სწო-რი რაღა მაქვსო?
- ❖ აღმართი და დაღმართიო არცერთია წაღმართიო.
- ❖ აჩქარებით ქვეყანა არავის მოუჭამიაო.
- ❖ აჩქარებულის დედა ტიროდა, დინჯისა კი ხარობ-დაო.
- ❖ აჭარელს ცხენი გადაეჩეხა კლდეზე, უთხრა: „– სწორედ დაგებიჯებინა ფეხი და არ გადაიჩე-ებოდიო“.

- ❖ ახალ კიტრს და ახალ ამბავს ძვირად ნუ იყიდი,
მაღლე გაიაფიდებაო.
- ❖ ახალი გარგნის ნახვამდე ძველი არ უნდა გადააგ-
დოო.
- ❖ ახალი ურბის ჩაცმით ვინმე არ დაგაფასებს, შა-
რშან და იმის წინ რაც ახალი გეცვა, იმას მოძებ-
ნიანო.
- ❖ ახალი ცოცხი კარგად გვისო.
- ❖ ახლობელი – კოჭმომწვარი, შორებელი – თლათ
დამწვარი.
- ❖ ახლოს გყავდი, არ გიყვარდი, ახლა – „შენი ჭირ-
იმეო!“



- ❖ ბაბაის თოხი რომ იყოს, კარგად მოვთოხნიდიო.
- ❖ ბაბუამ ტყემალი ჭამა და შვილიშვილს კბილი მო-
ექრაო.
- ❖ ბაგა არ მოვა ძროხასთანო.
- ❖ ბავშვის პირით სიმართლე ღაღადებსო.
- ❖ ბავშვთან ერთად გზას არ გუფდგე: თუ წეიქეცი,
გეცინება, თუ წეიქცა, იტირებსო.
- ❖ ბავშვი თუ არ ტირის, დედა ძუძუს არ აჭმევსო.
- ❖ ბავშვს კვერს ნუ დაპირდები და თუ დაპირდები,
გამოუცხეო.
- ❖ ბავშვს სწორი გზა ასწავლე, სიბერებდე გაყვებაო.
- ❖ ბარი – ბარსა, თოხი – ტარსა.
- ❖ ბავშვი ტირილში იზრდებაო.
- ❖ ბავშვი დაასაქმე და უკან გამოუდექიო.
- ❖ ბავშვი დაასაქმე და დიდო, უკან გაჰყევიო.
- ❖ ბავშვი თუ არ იტირებს ძუძუს არ აწოვებენო.
- ❖ ბავშვის ფეხი აგვისტოშიც არ გათბებაო.
- ❖ ბავშვს სახრე არ აწყენსო.



- ❖ ბალი კატარში გამწარდებაო.
- ❖ ბატონის კაცი თუ გალახო, მაგრად გალახეო.
- ❖ ბატონი ყმასა სწუნობდა, ყმა კიდევ – მასთან ყმობასა.
- ❖ ბალვს დაბადებამდე იბრაიმაი დაარქევესო.
- ❖ ბალნის ენას დედამისი მიხვდებაო.
- ❖ ბალვმა თუ არ იტირა, ძუძუს ვინმე არ აჭმევსო.
- ❖ ბაყაყი თავის ოცნებას ყიყინში ატარებსო.
- ❖ ბაყაყი ხალიჩაზე დაპრძანეს, ისკუპა და ისევ გუბეში ჩახტაო.
- ❖ ბაძვა სჯობია შურსაო.
- ❖ ბებერი ლომი ვირმა ჩაწიხლაო.
- ❖ ბებერი კაცი ყმაწვილსა ჰეგვსო.
- ❖ ბებერი ცხენი ქერს არ სჭამსო.
- ❖ ბებიას გამომცხვარი კვერი ტკბილიაო.
- ❖ ბედი მომეც და ქვაზე დამსვიო.
- ❖ ბედი მომეცი და სანაგვეზე გადამაგდეო.
- ❖ ბედი მომეცი და სანეხვეზე გადამაგდეო.
- ❖ ბედი მომე და სიზიბილეში ჩამაგდეო.
- ❖ ბედაურები გაწყდაო, ვირს მოედანი დარჩაო.
- ❖ ბედაურს სჭედდნენ და გომბეშომ ფეხი აიპზიკაო.
- ❖ ბედნიერების გასაღებს მოთმინება იძლევაო.
- ❖ ბედს ბრმად ნუ მიენდობიო.
- ❖ ბევრ ლაპარაკს სჯობს, სხვას მოუსმინოო.

- ❖ ბევრი ბუზი ბზუისო, ფუტკართან ყველა ტყუისო.
- ❖ ბევრი ფული კაცის მტერიაო.
- ❖ ბევრი ლაპარაკი ბევრი თავის ტკივილიაო.
- ❖ ბევრი ცემით რკინაც გატყდებაო.
- ❖ ბევრი „ვოში“ ხარს უკან დასწევსო.
- ❖ ბევრის მცოდნე ბევრჯერ შეცდებაო.
- ❖ ბევრმა ქალმა მისი კაცის ქება იცისო.
- ❖ ბევრი იფიშმანე და ცოტა ილაპარაკეო.
- ❖ ბევრი ცემით რკინაც გატყდებაო.
- ❖ ბერდებოდე, ბედს ელოდე.
- ❖ ბერიკაცი ბერდებოდა ცხენს უკულმა შეჯდებო-და.
- ❖ ბერი ხარის გაწვრთნას დაკვლა სჯობიაო.
- ❖ ბერი ხარის ქაიც ხნავსო.
- ❖ ბერს ბერობა შეშვენის და ერს – ერობაო.
- ❖ ბეჩი მოზვერი კაი ხარი დადგებაო.
- ❖ ბეჩი ცხენი პატრონს მოკლავსო, ბეჩი ხარი ბელ-ელს აავსებსო.
- ❖ ბეჩის ყველაი ბეჩი ჰერნიაო.
- ❖ ბილწ ხიდზე გავლას სჯობს, წყალმა წაგილოსო.
- ❖ ბლაყვს ჭკვის სწავლება სძულდა, ჭკვიანს უხარ-ოდაო.
- ❖ ბოლო ლუკმა ეშმაკისააო.
- ❖ ბოროტი შვილის დედასა რა მოაშორებს სევდასა.

- ❖ ბრიყვს ასწავლიდნენ და გონიერი სწავლობდაო.
- ❖ ბრიყვი კაცი ჭკვიანის ტვირთიაო.
- ❖ ბრმას ცოლი მუუკდა და როგორ გავაგებინოვო?
 - გვერდით რომ არ მუუწვება, ხომ გეიგებსო? – უთხრეს.
- ❖ ბრმა ღობეს მიადგა, „– შენს იქით გზა არა მაქ-ვსო“.
- ❖ ბრმამ ბრმას უთხრა, „ჭიტაო!“
- ❖ ბრმას რა უნდა და – ორთავ თვალის სინათლეო.
- ❖ ბრმა რას ჩიოდა და – ორთავ თვალსაო.
- ❖ ბრმას სინათლე ვერ უშველის და სოფელს – ჭკვიანის დარიგებაო.
- ❖ ბრმა ქათამს ჰერია, ყველგან ხორბალი ყრიაო.
- ❖ ბრჭყალებიან ფრინველს დღე მოკლე აქვსო.
- ❖ ბუზი ბევრი ბზუისო,

 - ფუტკართან ყველა ტყუისო.

- ❖ ბუზი ბზუის, ბზუისო,

 - ფუტკართან კი ტყუისო.

- ❖ ბუზი პატარაა, მაგრამ მუცელი მაინც აწუხებსო.
- ❖ ბუზმა იცის ტკბილეულის ვაჭარიო.
- ❖ ბურკას რას აბრალი, დამარჩოო, კბილები გქონდა და დაგეღეჭაო.
- ❖ ბუტიას წილი გემრიელიაო.

8

- ❖ გაანძრიე თავიო,
არ შეგემთხვას ავიო.
- ❖ გაასუქა ყაბაყმაო
მდიდარი და ტრაპახაო.
- ❖ გაახილე თვალები, თორემ სხვები გაგაჭყეტიებე-
ნო.
- ❖ გაგონილს ნანახი სჯობსო.
- ❖ გაგულისებული ვირი ცხენზე უფრო სწარაფად
გარბისო.
- ❖ გადააგდო უღელიო,
ხელად მოკლა კურდლელიო.
- ❖ გადადებული საქმე გადაგდებულიაო.
- ❖ გამოუცდელ ანგელოზს გამოცდილი ეშმაკი სჯო-
ბიაო.
- ❖ განაყოფი რომ კარგი იყოს, ღმერთსაც ეყოლებო-
დაო.
- ❖ გამშველებელს მეტი მოხვდაო.
- ❖ გამშველებელს მეტი უწევსო.



- ❖ გამრჯე კაცის სასჯელი უსაქმურობააო.
- ❖ გატეხილი ჭადი ერთმანეთს აღარ მიეკვრებაო.
- ❖ გაუეშილს გატეხილი ჯობიაო.
- ❖ გარეგნობით კაცი არ დაფასდებაო.
- ❖ გარეთ გასული კაცი გულადიაო.
- ❖ გარეთ გასული ცხვარი მგელს შეუჭამიაო.
- ❖ გართმევენ – გაიქცი, გაძლევენ – შეექცი.
- ❖ გარედან ხორუმი ადვილიაო.
- ❖ გარეული მამალი მოვიდა და შინაურ მამალს აგდებდაო.
- ❖ გარეულმა ქათამმა შინაური გააგდოვო.
- ❖ გასროლილი ისარი უკან არ დაბრუნდებაო.
- ❖ გაუმარჯოს პავლესაო,
დაასხამს და დალევსაო.
- ❖ გაფაჩუნებას'ნა მიხდე, თვარა გადრაგუნებას ყველა მიხვდებაო.
- ❖ გაქცეულს ერთი გზა აქვს, მდევარს – ათასიო.
- ❖ გაღმა შეედავე და გამოლმა შეგრჩებაო.
- ❖ გაღმა შეედავე, რომ გამოლმა შეგრჩესო.
- ❖ გაშვებულ ხმას მთაც ვერ დაუდგება წინო.
- ❖ გაძლომით ძროხაც გაძლებაო.
- ❖ გაცივება და გაცხელება ორივე ერთიაო.
- ❖ გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გაჩვენებო.
- ❖ გაჭირვებას'და გუუძლო, თვარა, ლხინს ყველა გუუძლებსო.

- ❖ გაჭირვებულს ღმერთმა გაუჭირვაო.
- ❖ გლახა ქალი სახლის უარყოფითს გეიტანს, ხოლო გლახა კაცი – სოფლისასო.
- ❖ გახსნილ კარს მტვრევა არ უნდაო.
- ❖ გდიე, ვერ დაგეწიე, დავჯექ და მოგიცადეო.
- ❖ გემრიელი ენით ხარს მუუწველია, გლახა ენით ძროხასაც – არაო.
- ❖ გველათ დაბადებული სიკვდილამდე გველი იქნებაო.
- ❖ გველზე წარეთ კაცი გიკბენსო.
- ❖ გველი არ უკბენს გველსაო.
- ❖ გველი გარედან არის ჭრელი, კაცი – შიგნიდანო.
- ❖ გველი გასისინდება, ნაკვალევი არ ჩანს, თუ გეიარე, მოგპილწავსო.
- ❖ გველი გველია, მარა, მისი შხამი წამალიაო.
- ❖ გველი დიგინახავს – გიკბენს, დეიმალვის – გიკბენს, ყოველთვინ ფრთხილათ'ნა იყოო.
- ❖ გველი კდარი შეგხვდეს, ძინარი თუ ღვიძარი, მაინც მოერიდე, შორი გზიდან მეიარეო.
- ❖ გველი პერანგ გეიძრობს, თვარა ისევ გველი დარჩებაო.
- ❖ გველი უჩუმარა გიკბენსო.
- ❖ გველი ყორეშიც არის და გარეთაცო.
- ❖ გველის გამშპარში გველის გარდა ვერაფერი გაძრებაო.

- ❖ გველის თაბაეთი კბენაა, თვარამ კაის გაკეთებაც იცისო.
- ❖ გველის ენა'ნა ჩამეიდვა უბეში, რომ საქმეს ყველგან გაჭრი და არ დამარცხდებიო.
- ❖ გველის იარას გველი მოარჩენსო.
- ❖ გველის ნაკბენ ვერ დეინახავ, იარა რომ გიგისკ-დება, მაშინ მიხდებიო.
- ❖ გველის ნაკბენი მწარეა, არ მორჩებაო.
- ❖ გველის ნაკბენს ისევ გველი მუარჩენსო.
- ❖ გველის ღილი აასხი, დეიბი და თვალი არ გეცემაო.
- ❖ გველის შხამი წამალიც რომ იყვეს, გერგოს, მოკ-დე'ნა და არ წეისვაო.
- ❖ გველმა გიკბინა თუ მისი შხამი მოგხვდა, სულ ერთია, მაინც გასივდებიო.
- ❖ გველმა იცის, ვის'ნა უკბინოსო.
- ❖ გველმა კბენა არ იცოდა და კაცმა ასწავლაო.
- ❖ გველმა პერანგი გაიძრო, ქუდი იგივე დარჩაო.
- ❖ გველს არ ენდო, მოგკლავს და შხამს უჩუმარაი შეგასხამსო.
- ❖ გველს გველის სახელი გუუვარდა, თვარამ კაიგონჯი იმანაც იცისო.
- ❖ გველს თუ ფეხი არ დააბიჯე არ გიკბენსო.
- ❖ გველსაც არ'ნა მუუკლა შვილიო.

- ❖ გველსაც უყვარს მისი შვეილებიო.
- ❖ „გველო, გველო“, სხვას ნუ ეტყვი, თვარამ მართლა გველი გახდებაო.
- ❖ გვრიტის ნახული კანაფი მარცვალს ვერ გაიკეთებსო.
- ❖ გზა ვინც იცის, ფეხს არ წაჰქრავსო.
- ❖ გზა სიარულით ილევა, ვალი – გადახდითაო.
- ❖ გზაზე ნანახი ამხანაგი გზაზე დაგეკარგებაო.
- ❖ გზაზე ხალხი ერთად რომ მიღიოდეს, ნურც წინ გაუსწრებ და ნურც უკან ჩამორჩებიო.
- ❖ გზა – თვალიანი, ღელე – ყურიანი.
- ❖ გინდ ზღვას დაურჩივარ, გინდა – ცვარსაო.
- ❖ გინდ შინ არ მისული და გინდ მკვდარიო.
- ❖ გიშერამ ინველა, ინველა წიხლი ჰერა და დააქციაო.
- ❖ გიუს ნუ ჰკითხავ და ნურც დაუჯერებო.
- ❖ გლახა და ამპარტავანი ღმერთსაც სძულს და კაცსაცაო.
- ❖ გლახას კიტრი მისცეს და არ მიიღო – მოხრილიაო.
- ❖ გლახა ქურდი მთხლეს პარვაში დაიჭირესო.
- ❖ გლახად გამოჩენას კარგად დამალვა სჯობსო.
- ❖ გლეხს უთქვამს, მოსავალსაც დაცდა უნდაო.
- ❖ გლეხი კაცი რომ ცხენზე შეჯდება, ღმერთი დაავიწყდებაო.

- ❖ გლეხის გაჩენაში ღმერთი ჩარეულაო.
- ❖ გლეხმა ნალი იპოვნა და – ღმერთო, სარკინეთი ამოაგდეო.
- ❖ გოგრა შუშად ვერ გახდება, თაროზეც რომ შემო-დოო.
- ❖ გომბიო ბუმბულში დააწვინეს და მაინც „ფუჩეჩ-ფუჩეჩ“ იძახდაო.
- ❖ გონიერი კაცი საქმეს ბევრი ლაპარაკით არ გაი-ფუჭებსო.
- ❖ გონიერი ქალი მთელ ოჯახს ასახელებსო.
- ❖ გოჭი ჭყვირილით და ბავშვი ტირილით გაიზრდე-ბაო.
- ❖ გოჭის კუდზე დანა გადატყდებაო.
- ❖ გრძელ გზასაც ბოლო აქვსო.
- ❖ გროშით ვერ ააშენებ ცხრა გუმბათსო.
- ❖ გულად კაცს ცოლი მოუკლავს და თვითონვე უტ-ირიაო.
- ❖ გულს გული იცნობსო.
- ❖ გული გულობდეს, თორე ქადა ორივე ხელით იჭ-მებაო.
- ❖ გულიდან გულზე ხიდიაო.
- ❖ გულიდან გულამდე გზა არისო.



- ❖ დავაყარე წისქვილსაო,
გადავურჩი სირცხვილსაო.
- ❖ დათვი რომ დიგინახავს, ბაბაი'ნა დუუძახო.
- ❖ დათვი რომ მოგერევა, ბაბა დაუძახეო.
- ❖ დათვი ტყეზე გაბუტულა, ტყეს ხებერი არ ქონ-
დაო.
- ❖ დათვს მელას კვალი გაჰკვირვებიაო.
- ❖ დაკარგული ძროხა ცხრა ლიტრს ინველიდაო, და-
უკარგავი კი ერთ ჩარექსაც – არაო.
- ❖ დამალულმა ჭირმა მოკლა კაციო.
- ❖ დამხრჩალის სახლში თოკს არ ახენებენო.
- ❖ დარია თუ ავდარია, ზევსი მუდამ მაღალია.
- ❖ დაფურთხებული არ ეილოკებაო.
- ❖ დაქცეული წყალი არ ეიხვეტებაო.
- ❖ დედა იკითხეო და კვიცი ისე იყიდეთო.
- ❖ დედემ ტყემალი ჭამა და ბადიშს კბილი მოჭრაო.
- ❖ დედის წინ გამქცევ კვიცსაო
მგელი გამოკრავს კბილსაო.

- ❖ დედ-მამის ამაგის დაუნახავი კაცის მკვლელს ედ-რებაო.
- ❖ დედაბერმა იანვარში მარწყვი ინატრაო.
- ❖ დელისთვინ ყოველთვინ ბაირამიაო.
- ❖ დიდ ხეს დიდი ნაფოტი სცვივაო.
- ❖ დიდ კაცს გუუტყდა კალამი,
მერე იკადრა სალამი.
- ❖ დიდი კაცის ნაჩუქარი მალე უნდა გადაყლაპოო.
- ❖ დილით ამდგარს კურდღელსა ვერ დაეწევა მწევარი.
- ❖ დილის შაირი ჯობია სალამოს ხეირსაო.
- ❖ დროზე მთესველი დროზე მოიმკისო.
- ❖ დუნია იქცეოდა და შეითანს ქორწილი ქონდაო.

~~~~~ გ ~~~~

- ❖ ეკალი არ წაგესობა, ხელი თუ არ დააკარეო.
- ❖ ეკალზე ეკალი ამოვაო.
- ❖ ეკლის ფესვზე ყაყაჩო არ ამოვაო.
- ❖ ეკლის ძირში ია არ ამოვაო.
- ❖ ელაპარაკე რეგვენსაო,  
ურახუნე კედელსაო.
- ❖ ემსახურე სიმართლესა,  
გამოგილევს სინათლესა.
- ❖ ენას ძვალი არ აქვს, სიტყვას ბაჟი არ აქვსო.
- ❖ ენა ყველაფერს იტყვისო.
- ❖ ენას ძვალი არ აქვსო.
- ❖ ენა გულის ცოცხიაო.
- ❖ ენა ადამიანის დაუძინებელი მტერიაო.
- ❖ ენას იქეთ-აქეიდან რომ ბარჯვები არ ქონდეს,  
დუნიაზე არ დეტეოდაო.
- ❖ ენას თუ მოიხმარ, კარგი იარაღიაო.
- ❖ ენას კლიტე არ დაედებაო.
- ❖ ენა ყველას აქვს, მარა ჭკუა – არაო.



- ❖ ენით ამოკრული ვირის ტრინკზე ბეთარიაო.
- ❖ ენით ცხვარია,  
საქმით ცხარეაო.
- ❖ ერთი კაკლისთვის ქვას არ ისვრიანო.
- ❖ ერთი მულის ტყავმა ცხრა რძალი დაიტანაო.
- ❖ ერთ დღე რომ მაძლარი იყო, ორი დღე უნდა იმუშაოო.
- ❖ ერთ ცუდ მოყვარეს ასი მტერი სჯობიაო.
- ❖ ერთ ჭიქა ყავას ორმოცი წლის ხათრი აქვსო.
- ❖ ერთმა თაგვმა ცხრა ქვევრი წაბილნაო.
- ❖ ერთი – ალთას, მეორე – ბალთასაო.
- ❖ ერთი „ალილუია“ მღვდელსაც შეეშლებაო.
- ❖ ერთი „არ ვიცი“ შვიდ ბელას მოგაცილებსო.
- ❖ ერთი დრო არავის შერჩებაო.
- ❖ ერთი დარტყმით ხე არ მოიჭრებაო.
- ❖ ერთი დრო ჩიტსა აქვსო.
- ❖ ერთი დღით რომ მიდიოდე, სამი დღის საგზალი წაილეო.
- ❖ ერთი ვარდისთვის მებალემ ათასი ეკალი უნდა გაზარდოსო.
- ❖ ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო.
- ❖ ერთი მუნიანი ცხვარი ათას სულ ცხვარს გასწირავსო.
- ❖ ერთი რწყილის გულისთვის საბანი არ დაიწვებაო.

- ❖ ერთი ენძელა გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.
- ❖ ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.
- ❖ ერთი საზარელი აზარალებს შვიდ თემსო.
- ❖ ერთი ტურის კივილი ქვეყანას ვერ დააქცევსო.
- ❖ ერთი წიხლის კვრით ციხე არ დაიშლებაო.
- ❖ ერთი ნახვა ცნობაა, ორი ნახვა ძმობაა.
- ❖ ერთი კარი რომ მოიხურება, მეორე გაიღებაო.
- ❖ ერთ ტყავში ორი ვერ მოთავსდებაო.
- ❖ ერთ ცუდ მოყვარეს ასი მტერი სჯობიაო.
- ❖ ერთი ქვით ორ ფრინველს ვერ მოკლავო.
- ❖ ერთი ცხვრისგან ორ ტყავს ვერ გახდიანო.
- ❖ ერთი ხელით ორი საზამთრო ვერ დაიჭირებაო.
- ❖ ერთმა ბრიყვმა ძვირფასი ქვა წყალში ჩააგდო,  
ათასი ჭკვიანი დაესია და ვერ ამოიღოო.
- ❖ ერთმა ღორმა ჯავახეთი ამოაგდოო.
- ❖ ერთად ჯდომა ხალისია, უქმად ჯდომა – სირცე-  
ვილიაო.
- ❖ ერთ ჯამში ერთმა უნდა ნაყოს, ყველამ – არაო.
- ❖ ერთ ოჯახში ორი ძმა არ დაბერდებაო.
- ❖ ერთმანეთის პაძვითა  
სახლი აივსო ნაგვითა.
- ❖ ერთმა ტალახიანმა ღორმა ასი ღორი გასვარაო.
- ❖ ერთ პირს წყალიც დაიძინებსო.



- ❖ ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვაო.
- ❖ ეს ქვეყანა კიბეა: ზოგი ადის, ზოგი ჩამოდის.
- ❖ ეძიებდე და პპოვებდეო.
- ❖ ენერმა თქვა: „— მე რომ ენერს არ მეძახდნენ, ოც-დახუთნაირი ჭირის წამალი ვარო“.

## 8

- ❖ ვაი თქმასა და ვუი უთქმელობასაო.
- ❖ ვაის გევეყარე, ვუის შევეყარეო.
- ❖ ვალი ვალად იყოსო და მევალე კარგად იყოსო.
- ❖ ვარიას კვერცხის დადება რომ მოუნდება, კაკანს მაშინ დაიწყებსო.
- ❖ ვაშლი ვაშლის ხიდან შორს არ ჩამოვარდებაო.
- ❖ ვენახის ძირი თუ მსხვილი არ არის, ოცი მამაშვილობა რომ გევდეს, ნაყოფს არ მოგცემსო.
- ❖ ვერას გიშველის ძლიერი ზურგი, თავად თუ არ ხარ მართალიო.
- ❖ ვეშაპი ისეთ რამეს არ გადაყლაპავს, მისი მონე-ლება ვერ შეძლოსო.
- ❖ ვიდრე ხეს ქერქი სძვრება, იქამდე უნდა შეაძროო.
- ❖ ვინ სადაც დაეცემა, იქვე ადგებაო.
- ❖ ვინც აკაკუნებს, იმას უღებენო.
- ❖ ვინც არაფერს აკეთებს, ბოროტებას აკეთებსო.
- ❖ ვინც არ იცის მცირე, ვერასდროს ნახავს დიდსო.
- ❖ ვინც ბევრი იცის, უფრო ცდებაო.



- ❖ ვინც გაჩერება არ იცის, არც ლაპარაკი იცისო.
- ❖ ვინც გველი შეჭამა, იმას ექიმი ვერ უშველისო.
- ❖ ვინც დაიზარაო,  
არ გაიხარაო.
- ❖ ვინც ერთხელ მოუსმინა ჰატარა ბარაბანს, ის ყო-  
ველთვის ყურს უგდებს დიდსაო.
- ❖ ვინც იჩქარა, მალე წავიდაო.
- ❖ ვინც მოითმენს – ვერცხლიო,  
ვინც არა და – ცეცხლიო.
- ❖ ვინც სიმართლე თქვა, ბევრჯერ კბილები ჩაულე-  
ნესო.
- ❖ ვინც მძიმედ მიდის, ის მიაღწევს თავის მიზანსო.
- ❖ ვინც მოითმენს, იგი მოიგებსო.
- ❖ ვინც რომ ერთხელ კი დასველდა, მისთვის წვიმა  
საშიში არ არისო.
- ❖ ვინც რომ ღვინოს სვამს ნისიად, ორგზის მთვრა-  
ლიაო.
- ❖ ვინც სხვას ორმოს უთხრის, თავისი ზომა მოთხა-  
როსო.
- ❖ ვინც სხვას ორმოს უთხრის, თვითონ ჩავარდებაო.
- ❖ ვინც ფარავს თავის სნეულებას, ვერ მიაგნებს მის  
წამალსო.
- ❖ ვინც ქარს დათესავს, ქარიშხალს მოიმკისო.
- ❖ ვინც შეგირდი არ ყოფილა, ვერ გახდება ოსტა-  
ტიო.

- ❖ ვინც ჩქარა მიდის, ის ფეხს წამოიკრავსო.
- ❖ ვინც ცას ორმოდან უყურებს, დიდად ხედავსო.
- ❖ ვინც ცხენიდან არ ჩამოვარდნილა, ის ცხენოსნობას ვერ ისწავლისო.
- ❖ ვინცხას თევზი უნდა, ფეხი'ნა დეისველოსო.
- ❖ ვირი დაბერდა და თოხარიკობა დაიწყოო.
- ❖ ვირი მღვდლად აკურთხეს და ცოცხლებს მარხავდაო.
- ❖ ვირი სხვისაო,  
სახრე ტყისაო.
- ❖ ვირის გამოხეშვაში პატრონიც ვირდებაო.
- ❖ ვირის ქონებას ცხენი ჭამსო.
- ❖ ვირის წიხლი არ უნდა გეწყინოსო.
- ❖ ვირმა ვირს უთხრა, რამდენს ყროყინებო.
- ❖ ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო.
- ❖ ვირს რქები არ უნდაო.
- ❖ ვირო, ნუ მოკვდები, იონჯა ამოვაო.
- ❖ ვირს პიტნა ეზარებოდა და ცხვირში ვარდებოდაო.
- ❖ ვირს პიტნა სძულდა, ცხვირზე ამოსვლოდაო.
- ❖ ვირს პიტნა სძულდა და ცხვირზინ დაუკიდესო.
- ❖ ვირს რომ ზურგს მოაფხანინებ, მუა და აგეყუდებაო.
- ❖ ვირს უთხრეს, შენი ზრდილობა გვაჩვენეო და ნაცარში გაგორდაო.

- ❖ ვირს ყურს აგლეჯდენ და იკითხა: „– რა ებრახუნებაო?“.
- ❖ ვისაც თავის თავზე სხვისი ხელი არ გამოუცდია, თავი გოლიათი ჰგონიაო.
- ❖ ვისაც თევზი უნდა, საჯდომის დასველების ნუ ერიდებაო.
- ❖ ვისაც ეშინია ცეცხლის, კვამლსაც გაურბისო.
- ❖ ვისაც თაფლთან აქვს საქმე, თითსაც ის გაილოკავსო.
- ❖ ვისაც სურს ვარდი, ეკალს ნუ ერიდებაო.
- ❖ ვისაც ფლავი უყვარს, თან კოვზი უნდა ატაროსო.
- ❖ ვისაც ვინ უყვარს, მისი ლამაზიც ის არისო.
- ❖ ვისაც ნაღები უყვარს, ძროხაც დაყავსო.
- ❖ ვისაც სახლი არ აუგია, გონია, ბოძები თავად ამოსულანო.
- ❖ ვისაც სროლა ვასწავლე, პირველი იმან დამიმიზნაო.
- ❖ ვისაც სხვისი ტორი არ მოხვედრია, ომას თავისი მუშტი ბათმანი ჰგონიაო.
- ❖ ვისი სიჭაბუკეც არ გინახავს, იმის სიბერეს ნუ დასცინიო.
- ❖ ვისაც შვილი არ მოჰკვდომია, შენ შვილს ნუ ატირებო.
- ❖ ვისიც შიშიო, ხათრიც მისიო.
- ❖ ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადაო.



- ❖ ზამთარი გაზაფხულის მუშააო.
- ❖ ზამთრის მზე ყვავილს ვერ მოიყვანსო.
- ❖ ზანტი ცხენი უფრო ტლინკავსო.
- ❖ ზარმაც მჭედელს კვირას მოუნდება მჭედლობაო.
- ❖ ზარმაცი საღამოს გაქესკინდებაო.
- ❖ ზარმაცი კაცისთვის სულ წვიმს და თოვსო.
- ❖ ზარმაცი კაცისთვის ყოველდღე უქმეაო.
- ❖ ზარმაცი საღამოთი გაპეჯითდებაო.
- ❖ ზარმაცს უბრძანე და მერე თვითონ მოგცემს რჩევასო.
- ❖ ზარმაცს უნატრია, ნეტაი, სულ წვიმდესო.
- ❖ ზარმაცს ხელ-ფეხი ნათხოვარი ჰგონიაო.
- ❖ ზაფხული ზამთრის მუშააო.
- ❖ ზაფხულში ზღვას შეხედა, ზამთარში – მთასო.
- ❖ ზევიდან ზიზია, ქვევიდან – ქიქია.
- ❖ ზედმეტი ქებით ქებაც ილევა და საქებარიცო.
- ❖ ზვინქვეშ თაგვი არ მომკვდარაო.
- ❖ ზიარი გზაი არ ვარგაო.

- ❖ ზიარი მკვდარი არ ცხონდებაო.
- ❖ ზიარი მკვდარი ზეზე დარჩებაო.
- ❖ ზოგი ჭირი მარგებელიაო.
- ❖ ზოგი ლაპარაკით სჭამს პურს, ზოგი კი ლაპარა-  
კისაგან არის უპურო.
- ❖ ზოგი მკვდარ ცხენს დაეძებს, რომ ნალი ააძროსო.
- ❖ ზოგისა პამპა ჩხრიალებს, ზოგისა – კაკალიც არ-  
აო.
- ❖ ზოგჯერ გაქცევაც კაი ბიჭობააო.
- ❖ ზურგ უკან მეფესაც შეაგინებენო.
- ❖ ზღვა კოვზით დაილევაო.
- ❖ ზღვა ისე არ დაშრება, გუბის ტოლა არ დარჩესო.
- ❖ ზღვას თუ ვერ დავწვავ, მაინც ვაშიშხინებო.
- ❖ ზღვაში რამდენი თევზია, ხმელეთიდან არ დაით-  
ვლებაო.
- ❖ ზღვაში თევზი არ გაიყიდებაო.
- ❖ ზღვას გადარჩენილი ცვარმა დაახრჩოო.

# თ

- ❖ თაგვი ბელელში არ მოკვდებაო.
- ❖ თაგვი ბელელში შიმშილით არ მოკვდებაო.
- ❖ თაგვი ჭიტინაში ვერ გამძვრალა, კოში მეიბაო.
- ❖ თაგვი ჭიტინაში ვერ ძვრებოდა და უკან კოში მე-იბაო.
- ❖ თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო.
- ❖ თაგვის ქორწილში ლომს რა უნდაო.
- ❖ თავი რომ მოკვდეს სიტყვა არ მოკვდებაო.
- ❖ თავი – საპანში, ფეხი – ბაზარში.
- ❖ თავის ქება თავის ტეხვააო.
- ❖ თავის ქება კიტრის ფასიაო, კიტრი კი ორი შაურ-იაო.
- ❖ თავი ვინ მოგჭრა და – ჩემიანმაო. – იმიზა ძირზე მოუჭრიაო.
- ❖ თავი თუ გტკივა, ფეხებთან რა გესაქმებაო?!.
- ❖ თავის ბედს კაცი ვერ შემოუვლისო.
- ❖ თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბალდადიდან მოვაო.
- ❖ თევზი თავიდან ყროლდებაო.

- ❖ თევზი დასაჯეს და წყალში გადააგდესო.
- ❖ თევზმა თევზს უთხრა: „— ცოტა იქით მიიძარიო“. „— საით მივიძრა, ორივენი ერთ ტაფაში ვიწვითო“.
- ❖ თევზმა თქვა: სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლით მაქვს სავსეო.
- ❖ თვალი თვალს შეჭამდა, შუანაში ცხვირი რომ არ იყესო.
- ❖ თვალით ბრმა ჯობია გონებით ბრმასო.
- ❖ თვალი თვალის მტერიაო.
- ❖ თვალი თვალს რომ მოშორდეს, გული გადასხვა-ფერდებაო.
- ❖ თვალი სარკეა კაცისა,  
შიგაც ბევრი რამ ხატია.
- ❖ თვით არ იყო ძმარიო,  
შით ჩაესხა წყალიო.
- ❖ თითო თავიდან თითო ჭკუა გამოდისო.
- ❖ თივაში ცეცხლი არ დაიმალებაო.
- ❖ თივა შეინახე და მისი გამოყენების დროც მოვაო.
- ❖ თითო ჭაჭით დიდი ღელე გაკეთდებაო.
- ❖ თიხის კაცს ოქროს ქალი ეკუთვნისო.
- ❖ თორმეტ კბილს რომ სიტყვა გამოსცდება, თორმეტი მთას გადაივლისო.
- ❖ თორბაში რომ მაწონ გაწურავ, დო და წვენი მაშინ გაერჩევაო.

- ❖ თოფით მკვდარ კაცს განკითხვა არა აქვსო.
- ❖ თოფი მეთოფეს და მეთოფე სოფელსაო.
- ❖ თუ არ დამლოცავ, ნურც დამწყევლიო.
- ❖ თუ არ წააგე, ისე ვერ მეიგებო.
- ❖ თუ ბაღნის დაღუპვა გინდა, რაცხას გეტყვის პან-აობიდან ყოლამფერი უუსრულეო.
- ❖ თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევაო.
- ❖ თუ გსურს, მესალამურეც გახდებიო.
- ❖ თუ დაიძინებ, სიზმარს ნახავ, თუ იშრომებ – ფულს.
- ❖ თუ თაფლიანი პურის ჭამა გინდა, ხელში ნიჩაბი და ლომი აიღეო.
- ❖ თუ თვალით ვერ დეინახე, ყურით გაგონილს ნუ დასდევო.
- ❖ თუკი გშია, ზაქარია,  
ცივი მჭადიც შაქარიაო.
- ❖ თუ მტერი არ გყავს, ძმას გამოურიგდი და მტერი გაგიჩნდებაო.
- ❖ თუ სიკეთე გაგირბის, დაენიე, თუ სიავე მოგდევს – გაიქეციო.
- ❖ თუ ღმერთი მწყალობს, ეშმაკი ვერას დამაკლებ-სო.
- ❖ თქმა ცეცხლია, არ თქმა ვერცხლიაო.
- ❖ თხა გავყიდე, თხა ვიყიდე, სარგებელი ვერა ვნახე.
- ❖ თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამაო.

- ❖ თხამ მღვდლობა მოინდომა, აქაოდა გრძელი წვე-  
რი მაქვსო.
- ❖ თხას თხის ფეხით დაჲკიდებენ და ცხვარს – ცხვ-  
რის ფეხითო.
- ❖ თხას სული ძვრებოდა, ყასაბი კი კითხულობდა:  
„ხორცი ივარგებსო?“
- ❖ თხას სული ძრებოდა, ყასაბი კი ფიქრობდა: „ნეტ-  
აი, ქონი კარგი ქონდესო“.
- ❖ თხის პატრონს თხის კუდიო.
- ❖ თხის პატრონს თხის კუდიც არაო.
- ❖ თხმელას გადანაჭერზე თხმელა ამოდისო.
- ❖ თხმელას გადაჭრი, მის ძირზე ისევ თხმელა ამო-  
ვაო.

# 0

- ❖ იანვარში დედაბერმა მარწყვი ინატრაო.
- ❖ იანვრის ქურდი მარტში გამოჩნდებაო.
- ❖ იარაღი მუშაობს და ხელებს ქება ერგებაო.
- ❖ იაფი ყველაზე ძვირიაო.
- ❖ იაფი ძმარი თაფლზე უტკბესიაო.
- ❖ იეთიმის კვერი ცხვა, გვიან გამოცხვა, კარგად გა-  
მოცხვაო.
- ❖ იესო ქრისტე ცოფიან ძალლს არ დაემალა და  
მთვრალ კაცს დაემალაო.
- ❖ იმედიანი შიმშილიც კარგიაო.
- ❖ იმუშავეთ, ვირებო, ჭამეთ ბრიგადირებო.
- ❖ იმფერ ალაგზე'ნა თქვა მშიაო, სადაც მოგართმე-  
ვენო.
- ❖ ინდიშვილი, მინდიშვილი,  
რაც დედ-მამა, ისიც – შვილი.
- ❖ ირემმა ირემს ბალახი გაუზოდა – არც შენ გაკლია  
და არც – მეო.
- ❖ ისეთ ადგილს ნუ დაჯდები, რომ მალე აგაყენონო.

- ❖ ისეთი გოდორი მოქსოვე, რომ შენს შვილიშვილებსაც გამოადგესო.
- ❖ ისეთი ხიდი გადევი, რომ შენს შვილიშვილებსაც გამოადგესო.
- ❖ ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს იწველიდესო.
- ❖ იქით მიცინის და აქეთ მეიტირისო.
- ❖ იქ მიგიყვანს ფეხი შენი,  
სადაც არის ბედი შენიო.

## ბ

- ❖ კაი ენით მთას ირემი მოიწველაო.
- ❖ კაი გუნებით ცოლ-ქმარი თოხის ტარზე დაეტე-ვაო.
- ❖ კაი კაცი სუფრაზედაო.
- ❖ კაი ქალის ხელში საქმე არც გროვდება და არც ილევაო.
- ❖ კაისათვის კაი ვის უქნიაო.
- ❖ კაი ქალი ეზო-კარით იცნობაო.
- ❖ კაი ქალი ხიდან წვენს გამოადენს და ნაფოტს არ დააგდებსო.
- ❖ კაი ცხენი დეზს არ ირტყამს და კაი ხარი – შოლ-ტსაო.
- ❖ კაცის ხორცი არ იჭმება, სისხლი არ ისმება, გუ-ლი' და მეიგოვო.
- ❖ კამეჩთან მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩიაო.
- ❖ კამეჩის მოჭიდავეს სახსრები არ შერჩებაო.
- ❖ კამეჩი მყავდა ნიკორა,  
ვაქებდი, არა იყო რა.



- ❖ კანონმა იკანონოსო, ნდობამ კი იბატონოსო.
- ❖ კარგად დაპობილი შემა კარგად დეენთებაო.
- ❖ კარგი ადამიანი ხეს გავს და გონჯი ერჩისო.
- ❖ კარგი კაცის პურმარილი ზღვაზე ხიდად გაიდებაო.
- ❖ კარგი მეზობელი კარგ მოყვარეს ჯობიაო.
- ❖ კარგი მოკრივე გვიან გამუაო.
- ❖ კარგი საქმე ქენი, ქვაზე დადე, გეიარე და წინ დაგხვდებაო.
- ❖ კარგი ქენი, ქვაზე დადევი, გაივლი და წინ დაგხვდებაო.
- ❖ კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო.
- ❖ კარგი შვილი ყველასია,  
გლახა შვილი დედასია.
- ❖ კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამსო.
- ❖ კარგზე კარგი არ დაილევაო.
- ❖ კარგობას წლები უნდა, თვარა გლახას წუთში ნახავო.
- ❖ კარგ თხას კარგი პატრონი უნდაო, კარგ მთქმელს – კარგი გამგონიო.
- ❖ კარგ შალს ნაწილურს მოუძებნიან, კარგ ქალს – სამშობლოსო.
- ❖ კარგ ძალლს ნასისიანება არ უნდაო.
- ❖ კარგ ნათესავს ცუდი მეზობელი სჯობიაო.

- ❖ კატა ვერ შეწვდა ძეხვსაო,  
– პარასკევია დღესაო.
- ❖ კატა ზურგით არ დევცემაო.
- ❖ კატამ კუდი დასაქმაო.
- ❖ კატა ხორცს ვერ მისწვდა: „– ფუ, რა მყრალია!“
- ❖ კატას თევზი უყვარდა, მაგრამ ფეხის დასველება  
ეზარებოდაო.
- ❖ კატას ფილტვი ესროლეს, იმასაც ეგ უნდოდაო.
- ❖ კაცი გამოსცადე და მერე უამბეო.
- ❖ კაცი გვარზე მიდისო.
- ❖ კაცი თავისი ენით პატივს კიდეც დაიყრის და კი-  
დეც აიყრისო.
- ❖ კაცი კაცით ცხოვრობსო.
- ❖ კაცი – კაცითაო,  
ლობე – სარითაო.
- ❖ კაცი – კაცითაო,  
ლობე – ქაცვითაო.
- ❖ კაცი კაცის წამალიაო.
- ❖ კაცი კაცს მოძებნის, ნადირი კი – ტყესაო.
- ❖ კაცი ცხენს ვერ შესწვდა და უნაგირს დაუწყო ცე-  
მაო.
- ❖ კაცი რომ გაჭირვებას ვერ ხედავს, თავი ბედნიე-  
რი ჰგონიაო.
- ❖ კაცი სანამ არ მოკვდება, მისი საქმე არ გამოჩ-  
ნდებაო.

- ❖ კაცი ყველაზე უკეთ მგზავრობაში გამოიცნობაო.
- ❖ კაცის ხორცი არ იჭმება, სისხლი არ ისმება, გული'და მეიგოვო.
- ❖ კაცმა რომ კაცის ხასიათი შეიტყოს, ერთი ბათმანი მარილი უნდა შეჭამოს მასთან ერთადო.
- ❖ კაც დირე ედვა თვალშიო, სხვას კი ბეწვს უშინავადაო.
- ❖ კაცმა იმისთანა ლუკმა არ უნდა გადაყლაპოს, რომ ვერ მოინელოსო.
- ❖ კაცმა ისეთი ტყუილი უნდა თქვას, ცოტა მართალს გავდესო.
- ❖ კაცმა რომ მარილი გთხოვოს და მარილი არ გქონდეს, მარილიანი სიტყვა მინც უთხარიო.
- ❖ კაცმა რომ ქვა შამოგკრას, შენ პური'ნა შამოკრაო.
- ❖ კაცს იმდენი პატივი ეცი, რამდენსაც შენ გაუძლებო.
- ❖ კაცს კაცი უნდა გერქვას, თორემ ულვაში კატასაც აქვსო.
- ❖ კაცს სიტყვით დააბამენ, ხარს – ბაწრითო.
- ❖ კაცს ცხენი არ ჰყავდა და უნაგირს ნატრობდაო.
- ❖ კაცი წარსულით ფასდებაო.
- ❖ კბილის ჩიჩქნით მეცელი ვერ გაძლებაო.
- ❖ კეთილი მეგობარი ნათესავს ჯობიაო.

- ❖ კეთილი საქმისათვის მადლობას ნუ დაზარდებიო.
- ❖ კეთილი ჰქენი, წყალს გაატანე, არ დაიკარგებაო.
- ❖ კვერცხის გულში ბეწვს ეძებსო.
- ❖ კვიცი გვარზე ხტისო.
- ❖ კვიცი დედის გვარზე ხტისო.
- ❖ კითხვა-კითხვით კაცი იერუსალიმს მივაო.
- ❖ კინა რომ ცხელია, მაშინ კეთდება თოხიო.
- ❖ კინა ჭედე, სანამ ცხელიაო.
- ❖ კოკა წყალზე გატყდება, ქურდი ქურდობაში მო-  
კვდებაო.
- ❖ კოკა წყაროსთან ტყდებაო.
- ❖ კოკა წყლის გზაზე გატყდებაო.
- ❖ კოცნა თუ გინდა, ცხვირის წვერი არ დაგიშლისო.
- ❖ კოჭლი ვირით ქარავანში ნუ შეერევიო.
- ❖ კუ გორაკზე ავიდა და თქვა, ქვეყნის კიდეს ვხედ-  
ავო.
- ❖ კუდიანი ვარსკვლავი ყოველთვის არ გამოჩნდე-  
ბაო.
- ❖ კუზიანს სამარე გაასწორებსო.
- ❖ კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო.
- ❖ კუმ ფეხი გამოყო, მეც ნამიყვანეთ სახნავ-სათეს-  
შიო.
- ❖ კურდლელი გორას უწყრებოდა, მაგრამ გორას  
არც კი შეუმჩნევიაო.

- ❖ კურდღელი ირბენს, ირბენს და ურემში ჩავარდებაო.
- ❖ კურდღელი პაწაია, მარა გაქცევა დიდი იცისო.
- ❖ კურდღელი რომ მეძებრის დაკოჭლებას შეიტყობს, თამამად სიარულს დაიწყებსო.
- ❖ კურდღელს მათრახი არ უნდაო.
- ❖ კუჭს მაშინა გრძნობს სხეულში, სადილის და ვახშმის დრო რომ მოვაო.



- ❖ ლამაზი ქალის მწყემსი მისი სინდისიაო.
- ❖ ლამაზ ქალს ღობის სარზე წამოცმულმა გამხმარ-მა ცხენის თავმაც დაუჭიხვინაო.
- ❖ ლამაზ ქალს ცხენმაც დუუჭიხვინაო.
- ❖ ლაპარაკი ლაპარაკსო,  
ცხენი გაჰყვა ამხანაგსო.
- ❖ ლეჩაქის მქსოველს გოდრის დაწვნა უკვირდაო.
- ❖ ლეჩაქის მქსოველს გოდრის ქსოვა უკვირდაო.
- ❖ ლიტრას ეუბნებოდნენ და – კოკავ, შენ გესმოდ-ესო!
- ❖ ლომი დაბერდა და ვირმა წიხლი კრაო.
- ❖ ლომს ხერხით კოლო მოერიაო.
- ❖ ლუკმა გავარდეს,  
ჯამში ჩავარდესო.
- ❖ ლუკმა მაშინაა ტკბილი, როცა კაი კაცობითაა ნა-შოვნი.
- ❖ ლხინში ნაბიჯით წადი, ჭირში – სირბილითაო.



## ბ

- ❖ მაგარ ზურგს მაგარი ჭკუა ჯობიაო.
- ❖ მაგარი ცხენი ვაკეში წაიქცევაო.
- ❖ მაგას დაჯერდი, ხონდაო, რაც მამაშენსა ქონდაო.
- ❖ მადლი ბევრი გამიცია, აქეთაც მაქვს ასაღებიო.
- ❖ მადლი საქმე ქენ და ზედ მარილი მოაყარეო.
- ❖ მადლი ქენი, ქვაზე დადევ, გეიარე, წინ დაგხვდებაო.
- ❖ ნათხოვარი ცხენიდან მალე ჩამოხტებიო.
- ❖ მამალს უთქვამს: „— მე კი ვიყივლებ და გინდა გათენდეს, გინდა — არაო“.
- ❖ მამამ შვილს ვენახი აჩუქა და შვილმა მტევანი არ მიაწოდაო.
- ❖ მამინაცვლის მაძებარი მუდამ უმამოდ იქნებაო.
- ❖ მამის ხელობას შვილი დაეპატრონებაო.
- ❖ მამის თოხით ბევრს მოვთოხნიდიო.
- ❖ მართლის მთქმელს ბევრი მოძულე ჰყავსო.
- ❖ მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ყავდესო.

- ❖ მარტი პატარძალია, დღეში სამჯერ მოირთვება და სამჯერ მოიღუშებაო.
- ❖ მარტი წინ რომ გექნება, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებო.
- ❖ მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო.
- ❖ მარტო კაცი ჭამაშიც ცოდვააო.
- ❖ მარტო სიტყვა ყველს ვერ ამოიყვანსო.
- ❖ მარჩიელას ნარჩიელა შეხვდებაო.
- ❖ მარჯვენა ხელმა რომ გასცეს, მარცხენამ არ უნდა გაიგოსო.
- ❖ მატყლის ლეიბზე აწვენდნენ და სექვს ეძებდაო.
- ❖ მაღალი არ მოიდრიკა, დაბალი ვერ შესწვდაო.
- ❖ მაცდურის თვალი მუდამ სოველიაო.
- ❖ მახვილი ხმალი ქარქაშს არ გასჭრისო.
- ❖ მგელი დაბერდა და თხამ რქენა დაუწყოო.
- ❖ მგელი რომ დაბერდება, ძალლის სათრევი გახდებაო.
- ❖ მგელი უჩიმარი გიკბენსო.
- ❖ მგელს მგლობა ერქვა და ტურამ ქვეყანა ამოჭამაო.
- ❖ მგელს სახელი გაუვარდა და ტურამ ქვეყანა დაანგრიაო.
- ❖ მგელი ისე არ მოკვდება, თხის დასახმარი გახდესო.



- ❖ მგელს რომ შვიდი ტყავი გააძრო, მაინც მგელიაო.
- ❖ მგელს სახარებას უკითხავდნენ, ის კი ტყისკენ იხედებოდაო.
- ❖ მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ და მგელი იძახდა: „— გამიშვით, თხა გარბისო“.
- ❖ მგლის სახელით ტურამ თავი დაირჩინაო.
- ❖ მგლის შვილი ცხვარი არასდროს გახდებაი.
- ❖ მგორავ ქვას ხავსი არ მოეკიდებაო.
- ❖ მდიდარ კაცს ღარიბის საცერი დასჭირვებიაო.
- ❖ მდიდარს უთხრეს – „მშვიდობაშიო“, ღარიბს – „ვინ გაჩუქაო“.
- ❖ მდიდრის წუნუნმა ღარიბს სიღარიბე დაავიწყაო.
- ❖ მდიდრისა მთასაც ეშინიაო.
- ❖ მდიდრის კატას ტიროდნენ, ღარიბისას კაცსაც – არაო.
- ❖ მე გეტყვი და, შენ თუ გინდა, ყინულზე დაიწერეო.
- ❖ მეზობელი მეზობლის სარკეაო.
- ❖ მელა მახეში გაება და თავი მოიმძინარა, სიზმარი იქნებაო.
- ❖ მეზობელს თუ რამე აქ, შენც გაქო.
- ❖ მეზობელო კარისაო,
- სინათლე ხარ თვალისაო.
- ❖ მეზობელს რომ მუცელი ასტკივდება, შენც ხელი მოისვიო.

- ❖ მეზობელს ხარი უსურვე და ღმერთი შენც მოგც-ემსო.
- ❖ მეზობელი რომ მოვიდეს და მარილი გთხოვოს, თუ არ გექნება, მარილიანი სიტყვა მაინცნ'ნა უთხრაო.
- ❖ მეზობლის ქონება შენიაო.
- ❖ მელამ ზღვაში წყალი ჩაასხა და თქვა, ზღვის ნა-ხევარი ჩემიაო.
- ❖ მელამ კუდი მოწმედ დაიყენაო.
- ❖ მელას თავის კუდზე ჯავრი მოსდიოდაო.
- ❖ მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო.
- ❖ მელა სოროში ვერ ეტეოდა და კუდზე ჩალის კონა მოებაო.
- ❖ მელია კვდებოდა და თავი საქათმისკენ მიჰქონ-დაო.
- ❖ მელია ყურძნის სიყვარულით ღობეს კოცნიდაო.
- ❖ მელიას დაგებულ ხიდზე გავლას სჯობს, წყალმა წაგილოსო.
- ❖ მელა სადაც წავა, კუდიც თან წაყვებაო.
- ❖ მეტისმეტი – თავში რეტიო.
- ❖ მეტისმეტი – რეტის რეტიო.
- ❖ მეფე გულში მღეროდა და ვეზირს ეჩხუბებოდა, რატომ არ ამყევიო.
- ❖ მექოთნის ნება არ არის, ყურს საითაც უნდა, იქით მიაბამს ქოთანსო.

- ❖ მეწუნიეს მუუკლებენო.
- ❖ მზის კოლოფი რომ ეივსება, მტრის თვალიც დე-ივსებაო.
- ❖ მზეს ვინც ტალახს ესვრის, მასვე თავზე დაეცე-მაო.
- ❖ მთავარია, კაცი გერქვას, თუ არა, ულვაში მარ-ცვალსაც ამოსდისო.
- ❖ მთავრობა რომ გამოგეკიდოს, ხალხში გაიქეცი,  
ხალხი რომ გამოგეკიდოს, წყალში ჩავარდიო.
- ❖ მთავრობაში თუ საქმე წაგიხდა, ხალხში წადი, ის-ინი გიხსნიანო; თუ ხალხი გადაგეკიდა, ზღვაში წადი, მეტი გზა არსად გაქვსო.
- ❖ მთავრობა კურდლელს ურემში შებმული კამეჩე-ბით დაეწევაო.
- ❖ მთა მთას ვერ შეხვდება, თვარა კაცი კაცს ყველ-თვინ შეხვდებაო.
- ❖ მთას და ბარსა რას ასწორებ, შენი საქმე გაასწო-რეო.
- ❖ მთის ჩიტი მთას შეაბერდებაო.
- ❖ მთის ჩიტი მთას შეაკვდაო.
- ❖ მითქვიას მათქვია მოსდევსო.
- ❖ მიმიციას მომიცია უნდაო.
- ❖ მის თვალში დვიროს ვერ ხედავს, სხვის თვალში ბენვს ეძებსო.

- ❖ მისი კდარი გუუგდია და სხვისსას ტირისო.
- ❖ მიუჩვეველს ნუ მიაჩვევ და მიჩვეულს ნუ მოაკლებო.
- ❖ მიუხდენარ კაცს არ მისცე, მიმხდენარს მიეციო
- ❖ მიწის მუშა წვიმას ნატრობს, მგზავრი – მშრალ გზასო.
- ❖ მიჰყვე, მიჰყვე სიმართლესა,  
გამოგილევს სინათლესა.
- ❖ მკვდარს ნუ სტირი, სულელი იტირეო.
- ❖ მკვლელის შემწეც მკვლელიაო.
- ❖ მკვლელო, რა გიხარია და – რომ მოვკალი, ისაო.
- ❖ მკითხველი იყავი, რომ მცოდნე შეიქწეო.
- ❖ მლიქვნელი კაცის მფარველობას უკეთესია, ლომა მმა შეგჭამოსო.
- ❖ მოგება და ზარალი ძმები არიანო.
- ❖ მოგება და წაგება ძმებიაო.
- ❖ მოთმენა ვერცხლია, მოუთმენლობა – ცეცხლიო.
- ❖ მოთმინება მწარეა, ნაყოფი კი – ტკბილი.
- ❖ მოთმინებით ბუოლის ხისგან აბრეშუმს მიიღებო.
- ❖ მოკაკანე ქათამი კვერცხს ვერ დადებსო.
- ❖ მომხდურს დამხდური უნდაო.
- ❖ მორცხვი ქალი ქალაქის ფასია, მორცხვი კაცი – ქალამნის ფასიო.
- ❖ მოსავალმა თქვა: ვინც მზრუნველობას მაკლებსო, ის თავის ბელელს აკლებსო.



- ❖ მოსიყვარული ცოლ-ქმარი თოხის ტარზე დაეტე-  
ვაო.
- ❖ მოუარე ცხენს, როგორც მეგობარს და ზედ შეჯე-  
ქი, როგორც მტერიო.
- ❖ მოუხერხებელ კაცს მიწა რკინა ჰერნია და ზეცა  
– სპილენძიო.
- ❖ მოჩივლება თხოვნაა, თხოვნა – ძალით ნართმე-  
ვაო.
- ❖ მოცლილი კაცი კურდლელს ურმით მისდევდაო.
- ❖ მონადინება საქმის ნახევარიაო.
- ❖ მოხეტიალე გიუი მოსიარულე ხიფათი და სიკვდი-  
ლიაო.
- ❖ მტერი მტრისთვის არ ლოცულობსო.
- ❖ მტერი რომ ნაცარში შემოგიხტება, მერე ციხის  
აგება არ შველისო.
- ❖ მტერი სულ რომ ჭიანჭველა იყოს, მაინც უფრთ-  
ხილდიო.
- ❖ მტვერი იყარე დიდი გორისაო.
- ❖ მულო, გეუბნებიან და რძალო, შენ გეიგონეო.
- ❖ მუნჯი ჯობია ბლუსაო.
- ❖ მუცელი მარტო ლობიასთვინ არაა.
- ❖ მუცელს თუ აჟყევი, ხეზე გაგიყვანსო.
- ❖ მუცელში ჩაყრილი და ცეცხლზე დაყრილი აღარა  
ჩანსო.

- ❖ მუცლით მშიერმა აჯობა ტანით ტიტველსაო.
- ❖ მუცლის ჭირებ-ჭირებით ბალვი არ იშოვნებაო.
- ❖ მყეფარა ძალლი არ იკბინებაო.
- ❖ მშიერ ვირს ანუგეშებდნენ: „— ნუ მოკვდები, გაზ-აფხულზე იონჯა ამოვაო“.
- ❖ მშიერ ქათამს ფეტვი ესიზმრებოდაო.
- ❖ მშიერი დათვი არ კუნტრუშობსო.
- ❖ მშიერს ნუ მასაქმებ და მაძლარს ნუ გამაქანებო.
- ❖ მშობლები შვილებისთვის, შვილები კი თავისთვი-სო.
- ❖ მშობლის ახს შვილი ვერ მოიხდის ვერასდროსო.
- ❖ მცირესაგან დიდიც გამოსდინდებაო.
- ❖ მცირე ფეშქაში – გულისაგანო, დიდი კი – სავსე ქისისაგანო.
- ❖ მცონარა ადგა და სახლი დაწვაო.
- ❖ მძინარე გველს თავზე ფეხს ნუ დაადგამო.
- ❖ მძინარას შეუნახავენ, ბუტიას შეუჭამენო.
- ❖ მძინარეს გველიც არ უკბენსო.
- ❖ მნარე ბადრიჯანს ყინვა ვერ წვავსო.
- ❖ მნარე თუ არ ჭამე, ტკბილის გემოს ვერ გაიგებო.
- ❖ მნარე მნარით გააცუდეო.
- ❖ მნიშვეს ესრიდნენ, ჭახე ცვიოდაო.
- ❖ მნვადი ისე შეწვი, ნურც მნვადს დაწვავ, ნურც – შამფურსო.

- ❖ მჭედელს დანა ვინ მისცა, ფეიქარს – ცხვირსახო-ციო.
- ❖ მხოლოდ ბულბულმა იცის ვარდის ფასიო.
- ❖ მხოლოდ წვიმის ქვეშ სწავლობ მოსასხამის დაფა-სებასო.

# 6

- ❖ ნაბადს ყველა მოიხურავს, მაგრამ მწყევსივით არავის დაშვენდებაო.
- ❖ ნავში მჯდომი მენავეს ეჩეუბებოდაო.
- ❖ ნათლიის პანზე არასოდეს არ გაივლიანო.
- ❖ ნათხოვარი ათხოვეო, მამის სული აცხონეო.
- ❖ ნამეტანი მოფერება შეგაზიზღებს სატრანსო.
- ❖ ნამეტარი „ვოში-ვოში“ ხარს უკუღმა წაიყვანსო.
- ❖ ნამუსიანობა შეადგენს ნახევარ რჯულსო.
- ❖ ნამუსი იმფერი ყვავილია, რომელსაც რო მოწყვი-ტავ, ალარ ამუაო.
- ❖ ნამუსი ფულში არ გაიცვლებაო.
- ❖ ნამუსიც კაი საქონელიაო.
- ❖ ნასწავლი კაცი სოფლისთვის კარგია, უსწავლელი კი ბარგია.
- ❖ ნაქებმა კატამ თაგვი ვერ დაიჭირაო.
- ❖ ნაქებმა ძალლმა ნიახურზე გადააფსაო.
- ❖ ნაჩუქარი აჩუქეო, სული იმით აცხონეო.
- ❖ ნაჩუქარ ცხენს კბილები არ გაესინჯებაო.



- ❖ ნაჩუქარ ცხენს კბილებში არ ჩახედავენო.
- ❖ ნაცარქექია ღონეს იქადნებოდაო.
- ❖ ნაცნობი ციებ-ცხელებაც კარგიაო.
- ❖ ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ორივე ქურდ-იაო.
- ❖ ნემსით კერვისას თუ ხელის თითები არ დეიჩქმით, კერვას ვერ ისწავლიო.
- ❖ ნემსი ჯერ შენ იტაკე და მერე სხვას ატაკეო.
- ❖ ნემსისოდენა ჭუჭრუტანაში ერთი ურემი სიცივე შევაო.
- ❖ ნერგი ახარე ისეთი, ხვალის რომ გქონდეს იმედი!
- ❖ ნეტავი ასი დამკრა და ერთი მართალი მათქმევინაო.
- ❖ ნიორმა თავისი სიმყრალე შვიდ წელიწადს არ დაკარგაო.
- ❖ ნისია სხვისიაო.
- ❖ ნუ აკაკუნებ სხვის კარებს, თორემ შენც დაგიკაკუნებენო.
- ❖ ნუ გეშინია სიკვდილისა,  
გეშინოდეს სირცხვილისა.
- ❖ ნუ დასცინი სხვასაო,  
გადაგხდება თავსაო.
- ❖ ნუ დაჰკარგავ ძველს გზასა,  
ნურცა ძველსა მეგობარსა.

- ❖ ნუ იკითხავ, რასაც ხედავო.
- ❖ ნუ იქმ ავსა და ავისაც ნუ გეშინიაო.
- ❖ ნუ უთხრი სხვას ორმოს, თორემ თვითონ ჩავარ-დებიო.



## მ

- ❖ ობლის კვერი ნაცრიანიაო.
- ❖ ობლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგად გამოცხვაო.
- ❖ ობოლი თვითონ იჭრის ჭიპსო.
- ❖ ოთხი წლის მოზვერს თორმეტ წელიწადს ვხედნი-დიო.
- ❖ ომში წამსვლელი ხმალს არ ნათხოვრობსო.
- ❖ ორი აბლას კალთაში ბალანა ვერ გეიზდებაო.
- ❖ ორი კაცი ერთი კაცისთვის ნადი არისო.
- ❖ ორი კურდღლის მადევარი ვერც ერთს ვერ დეი-ჭერსო.
- ❖ ორი ხელის ჭირიმე და ერთ პირისაო.
- ❖ ორ უფროსს ასწავლე, რომ ერთი უმცროსი დაჭ-კვიანდესო.
- ❖ ორჯერ ნუ კითხავ ყრუსო.
- ❖ ოსტატმა თავისი საქმე კარგად იცისო.
- ❖ ოფოფს თავით იცნობენ, კარგ საქმეს – ბოლო-თიო.

- ◆ ოქრო პატარაა, მაგრამ ფასი დიდი აქვსო.
- ◆ ოქროს ანკესი ყველანაირ თევზს იჭერსო.
- ◆ ოჯახში, სადაც ორი მამალი ყივის, მზე გვიან ამო-  
ვაო.



## ❀ გ ❀

- ❖ პანტა ვაშლი გინდა ურუმ ტყეში იდგეს, გინდა – ნაფუზარში, მაინც პანტას გამოიბამსო.
- ❖ პანლური მეწყინება და არ მეტკინებაო.
- ❖ პატარა არის ბეწვი, მაგრამ კაცს გულს ურევსო.
- ❖ პატარა სიტყვა ლაპარაკში გაიზრდებაო.
- ❖ პატარძალმა კოკა გატეხა და „– ნეტავ ბავშვი მყავდეს, იმას დავაბრალებდიო“.
- ❖ პატარძალმა ძროხა ვერ მოწველა და „– ეზო მრუდეაო“.
- ❖ პატარძალს ფაფის ჭამა უყვარდა და გარეცხვა ეზარებოდაო.
- ❖ პატივს ნურც მოითხოვ და ნურც დაითხოვო.
- ❖ პატიოსან მტერთა შორის მოციქული ნამუსია.
- ❖ პატიოსნად მოწეული ჭირნახული მალე არ გამოილევაო.
- ❖ პატიოსნება განძია უენოდ გაუხუნარი.
- ❖ პატიოსნება უენოდ ლაპარაკობსო.
- ❖ პანა იაღით დიდი ჯამური არ გაკეთდება.

- ◆ პანა წყალში დახრჩობას, დიდ წყალში დახრჩობა ჯობიაო.
- ◆ პილპილი თუ არ გიჭამია, პირი რად გეწვისო.
- ◆ პური მეპურეს გამოაცხობინეო.
- ◆ პურის მთხოვნელს პურს ნუ დაუჭერო.
- ◆ პურმა თქვა: მე პირს არ ვეძებ, თვითნ მომნახავსო.
- ◆ პურს თუ მაჭმევ, ნურც კბილს მომტეხო.

## „გ“

- ◆ უამი ბატონობსო.
- ◆ უანგი რკინასა ჭამს, დარდი – გულსაო.



- ◆ რა მგელს შეუჭამიხარ და რა მგლისფერ ძალლ-საო.
- ◆ რამდენსაც იქუხებს, იმდენს არ გაწვიმდებაო.
- ◆ რამხელა საბანიც გაქ, ფეხი იმხელაზე გააწვდი-ნეო.
- ◆ რასაც მოიგებ, ბოლოს გაიგებო.
- ◆ რასაც დასთეს, იმას მოიმკიო.
- ◆ რასაც ვერ მისწვდები, ხელს ნუ გაიშვერო.
- ◆ რასაც ჩვენ ვერ ავიტანთ სხვას ნუ ვაკადრებთ იმასო.
- ◆ რასაც მოთოხნი,  
იმას მოცოხნიო.
- ◆ რასაც ღმერთი დაგინერს, იმას გაგაძლებინებსო.
- ◆ რასაც ვერ ასცდებიო,  
იმას ვერ გასცდებიო.
- ◆ რასაც სხვისთვის მოინდომებ, შენს თავს გადაგხ-დებაო.
- ◆ რაფერ ხიდსაც დააგებ, იმფერზე გეიარო.

- ❖ რაფერიც ფხალი, იმფერი ჭურჭელიო.
- ❖ რაც გულში გვაქვს, ვერ ვამბობთ, ვერიდებით წყენასაო.
- ❖ რაც მოგივა, შენს თავს დააბრალეო.
- ❖ რაცხამდონ გაჩერიკავ, იმდონი ამყრალდებაო.
- ❖ რაცხაფერი სარია, ვენახიც იმფერია.
- ❖ რაც გერგება ალალია,  
რაც არა და ჰარამია.
- ❖ რაცხა მამა, იგი – შვილიო.
- ❖ რაც არ გიჭამია, ნუ ჭამ, თორემ მუცელი გეტკინებაო.
- ❖ რაც არ გერგება, არ შეგერგება.
- ❖ რაც გიწერია შუბლზეო,  
იმას ელოდე ზღურბლზეო.
- ❖ რაცხამ გააჩინა თხაი, იმან ამოუკაუჭა რქაი.
- ❖ რაც მოგივა, დავითაო, ყველა – შენი თავითაო.
- ❖ რაც მოხდება, სოფელს გადახდებაო.
- ❖ რაც ცოლს არ უყვარს, ქმარი ვერასდროს შეჭამსო.
- ❖ რაცხას დათეს, ის ამუა,  
არ დათეს და სულ არ მუა.
- ❖ რაცხაა შენი ყისმეთი, მისით მუა შენთან, რაცხა არა და არც' ნა გამეეკიდოო.
- ❖ რეგვენმა შვილი მოკლა, დაჯდა და მერე იტირაო.

- ❖ რეგვენ კაცს ჭკუა თვალში აქვსო.
- ❖ რეგვენი ბრძენზე ბრძენია, რაშიაც გამოცდილია.
- ❖ რეგინას ჟანგი ჭამს, კაცს – გულის დარდი.
- ❖ როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო.
- ❖ როცა სიტყვა ხშირდება,  
მაშინ საქმე მცირდება.
- ❖ როგორიც მისი ცომია, ეგრე – ჩემი ფაფაო.
- ❖ როგორიც ტყე, ისეთი – ნადირიო.
- ❖ როგორიც ნათესია, ისეთი – სამკალიო.
- ❖ რომელ ქვეყანაშიც მიხვალ, იმ ქვეყნის ქუდი და-  
იხურეო.
- ❖ რომელი ხარიც გასწევს, იმას ურტყამენო.
- ❖ რომ მცოდნოდა, სად წავიქცეოდი, იქ ჩალას და-  
ვაგებდიო.
- ❖ როგორც ბალი არ მოისხამს მსხალს, ისე შვილი  
არ დაემსგავსება სხვას.
- ❖ როიცხა ხე ნედლია, ტყავი მაშინ'ნა გახადოო.
- ❖ როიცხა ფეხს იტკენ, სიარულის ყადრს მაშინ ის-  
წავლიო.
- ❖ რომ მოგაწვება, დათვს ბაბაი'ნა დუუძახოვო.
- ❖ როცა დაეცე, მიწას მოეხვიეო.
- ❖ როცა ვირი დაბერდება, მაშინაც პირველ ადგილს  
არ აძლევენ ბაგაზეო.
- ❖ როცა კანონი გჭრის თითს, არ გეტკინებაო.

- ❖ როცა საჭამანდი მოხარშულია, წყალს ნუღარ და-  
ასხამო.
- ❖ როცა სახლს ყიდულობ, პირველად მეზობელი  
მოიპოვეო.
- ❖ როცა ქურდების რიცხვი იმატებს, მსაჯულის  
ბრალიაო.
- ❖ როცა ენა გრძელია,  
მართლის პოვნა ძნელია.
- ❖ როცა სიტყვა ხშირდება,  
მაშინ საქმე მცირდება.
- ❖ რძალი მეიყვანე, ძალა მეიმატეო.

# ს

- ❖ საპანი რამხელაზეც გაგწვდება, ფეხი იმხელაზე გაწვადეო.
- ❖ სადაც არა არის რა, იქ არც არა ტყდება რა და არცა არა იღვრებაო.
- ❖ სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს.
- ❖ სადაც არი ბედი შენი,  
იქ მიგიყვანს ფეხი შენიო.
- ❖ სადაც არ იყოსო,  
ცოტაც კმარიყოსო.
- ❖ სადაც გაიღახები,  
იქვე დაიმარხები.
- ❖ სადაც გაიძრო, იქვე შეიმოსეო.
- ❖ სადაც დაბალი ღობეა, ყველა მას გადაქელავსო.
- ❖ სადაც კატა არ არის, იქ მრავალი თაგვიაო.
- ❖ სადაც მუცელი გაგიძლება, იქ უნდა თქვა, მშიაო.
- ❖ სადაც წაიქცევი, იქ უნდა ადგეო.
- ❖ სადაც წახვალ, იქ სახლი გაიკეთეო.
- ❖ სადაც წვრილია, იქ გაწყდებაო.

- ❖ სავსე ბალახიანი ხელით აქლემს გორიდან ჩამო-იყვანო.
- ❖ სავსე კოვზით საჭმელი დაუფასებელიაო.
- ❖ საზიარო ყანა თხებმა შეჭამესო.
- ❖ საზიარო ყანას ეშმაკები დაეპატრონენო.
- ❖ საზიარო ყანა ჩიტს მოუჭამიაო.
- ❖ საითაც გევეცი,  
იქით წევეციო.
- ❖ საიმედო სკამზე რომ ზიხარ,  
არ დაგავინყდეს ნამდვილად ვინ ხარ!
- ❖ საკუთარ თვალში სარს ვერ ხედავს, სხვის თვალ-  
ში კი ბეწვს ეძებსო.
- ❖ სალამი მტერსაც არ დაეჭირებაო.
- ❖ სამართალი თოფის ტუჩზე ჰკიდიაო.
- ❖ სამართალი ურმით დადისო.
- ❖ სამართალი ფეხით დადისო.
- ❖ სანამ თონე ცხელია, პურიც მანამ გამოაცხვეო.
- ❖ სანამ სწორე ჯოხს ნახავდე, მრუდეს ნუ გადააგ-  
დებო.
- ❖ სანამ შეხვიდოდე, გამოსვლაზე იფიქრეო.
- ❖ სანამ ცუდი არ იცი, კაის ვერ გაიცნობო.
- ❖ სანამ წვიმას გაასწრებდა, სიტყვა მოერიაო.
- ❖ სანამ წყალში შეხვიდოდე, გამოსვლაზე იფიშმანე.
- ❖ სანთელი ძირიდან არ ანათებსო.

- ❖ სარჩული უფრო ძვირიაო.
- ❖ საფერი საფერსო,  
მადლი გამჩენსო.
- ❖ საქმემ კი არ' და მოგერიოს, საქმეს' და მიერიოო.
- ❖ საქმიანმა კაცმა თქვა: „– იმდენი ვერ მოვიცალე,  
რომ მოვმკვდარიყავიო“.
- ❖ საქონელი გარედანაა ჭრელი, ადამიანი – შიგნი-  
დანო.
- ❖ საქონელს თვალი ჭამსო.
- ❖ საქონელს პატრონი სჭირდება, შვილს – მამაო.
- ❖ საცინველი წყალს მიჰქონდა, თავი ამოეყო და  
სხვას ცინოდაო.
- ❖ სახელის გატეხვას თავის გატეხვა სჯობიაო.
- ❖ სახელი სჯობს ქონებასა  
და უფლება – გონებასა.
- ❖ სახელი ჯობს ქონებასო,  
მამაჩემის ცხონებასო.
- ❖ სახელოვანი სიკვდილი მამაცთა სანატრელიაო.
- ❖ სახლი რომ დეინვას, თაგვსაც კარგი არ მუუვა.
- ❖ სახლს ერთი კარი'ნა ქონდეს შესასვლელი, რომ  
ყველა კარებიდან ხალხმა არ იდრიგინოსო.
- ❖ სვინდისს კბილები არა აქვს, არც კბენა იცისო.
- ❖ სიბერისთვის სიკეთე არავის უქნიაო.
- ❖ სიბრძნე ყოველთვის სიტყვაძვირიაო.

- ❖ სიზარმაცე სიღარიბის გასაღებიაო.
- ❖ სიზარმაცეს ძილი მოსდევს, ზედმეტ ძილს – ავა-  
დმყოფობა, ავადმყოფობას – სიკვდილიო.
- ❖ სიკეთის ნერგი იხარებს, დარგო თუნდ სიპსა ქვა-  
ზედა.
- ❖ სიკეთე ძალლსაც არ დაავიწყდებაო.
- ❖ სიკვდილი ყურს უკან გვაქვსო.
- ❖ სიკვდილმა თქვა: უმიზეზოდ ერთ კაციც არ წამი-  
ყვანიაო.
- ❖ სიკვდილმა ჩამეიარა და იეთიმს დეეტაკაო.
- ❖ სიმართლე ზღვაში რომ გადააგდო, არ დაიკარგე-  
ბაო.
- ❖ სიმართლე თქვი და მკდარი ადგებაო.
- ❖ სიმართლე მკვდარს გააცოცხლებსო.
- ❖ სიმართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო.
- ❖ სიმინდი თოხის შვილიაო.
- ❖ სინში რომ შორვა ეიმსობა, გადმოდინდებაო.
- ❖ სირცხვილს სიკვდილი სჯობსო.
- ❖ სიტყვა ვერცხლია, დუმილი – ოქრო.
- ❖ სიტყვა უსაქმოდ მკვდარიაო.
- ❖ სიცრუე დილამდეო და სიმართლე შვილიშვილო-  
ბამდეო.
- ❖ სოფელი ვნახე უძალლო, შით გევიარე უგარგნო.
- ❖ სოფელს დიდი თვალი და ყური აქვსო.

- ❖ სტუმარი სტუმარს პატიუებდა და ორივე გარეთ გაყარესო.
- ❖ სტუმარმა სტუმარი დაჰპაიჯა, ორივე კარში გა-აგდესო.
- ❖ სტუმარს სტუმარი სძულდა, მასპინძელს – ორთა-ვენიო.
- ❖ სულელი მეგობარი მტერზე უარესიაო.
- ❖ სულელი რომ არ იყოს, ჭკვიანს ფასი არ დაედე-ბოდაო.
- ❖ სულელს მტერი რადლა უნდა, თავისი თავის მტე-რიაო.
- ❖ სულმოკლე კაცი ჭკუის მენახევრეაო.
- ❖ სულ ოქრო როდია, რაც ბრწყინავსო.
- ❖ სნავლა მადლის დედაა და ბედის გასაღებიო.
- ❖ სხვას სხვისი მკვდარი მძინარე გონიაო.
- ❖ სხვას იმდენი ტვირთი არ აკიდო, რამდენსაც შენ ვერ ზიდავო.
- ❖ სხვას რომ მუცელი ასტკივდება, შენც ხელი მოი-სვიო.
- ❖ სხვა სხვების ომში ბრძენიაო.
- ❖ სხვა სხვისა ომში გმირია.
- ❖ სხვას უქადაგე ურმითაო,  
შენ მოგივა გოდრითაო.
- ❖ სხვისი ბანრით ჭაში არ ჩაისვლებაო.

- ❖ სხვისი გიუი სასაცილოა, თავისი – კი სამარცხვი-ნომ.
- ❖ სხვისი ზიარი ჰაერიც ნუ გინდაო.
- ❖ სხვისი ჭირი – ღობეს ჩხირი საპირეზეო.
- ❖ სხვისი ხელით ნარის კრეფა ადვილიაო.



- ❖ ტაშს გიკრავენ – ეგ რაია,  
გამართლება მთავარია.
- ❖ ტილს რომ ფეხზე დეიჯენ, თავზე ავაო.
- ❖ ტირილითა და გლოვითა მტერი არ შეშინდებაო.
- ❖ ტკბილი ენით გველს სოროდან გამოიყვანო.
- ❖ ტკბილი სიტყვით მთას ირემი მოინველაო.
- ❖ ტკბილი სიტყვა რკინის კარს გააღებსო.
- ❖ ტკბილმა ენამ ხმალი უკანვე ჩააგოვო.
- ❖ ტრაბახი უცხო მხარეში ისეთია, როგორიც – სიმ-  
ლერა აბანოშიო.
- ❖ ტურა კვდებოდა და თავი კარიაში მიჰქონდაო.
- ❖ ტყე ნადირისააო.
- ❖ ტყვილა დგომა ტყვილა ჯდომას ჯობიაო.
- ❖ ტყვილა ჯდომას ტყვილა შრომა ჯობიაო.
- ❖ ტყვილამ მართალიც რომ თქვას, არავინ დაუჯე-  
რებსო.
- ❖ ტყულაი ჯდომას ტყულაი დგომა ჯობიაო.
- ❖ ტყვილას სახლი დაწვია და დაუჯერიანო.

- ❖ ტყუილის თქმასაც მოხერხება უნდაო.
- ❖ ტყუილის მთქმელს მართალსაც არ დაუჯერებენო.
- ❖ ტყუილის მთქმელს სახლი დაეწვა და არავინ დაიჯერაო.
- ❖ ტყუილი ფიცი შვილიშვილამდე გასტანსო.
- ❖ ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო.
- ❖ ტყუილს ყველგან კუდი გარეთ რჩებაო.



- ❖ უბედურ კაცს ქვა აღმართში დაეწევაო.
- ❖ უბედურ კაცს ცხენი მოუკვდება, ბედნიერს – ცოლიო.
- ❖ უბედურ კაცს წყლის პირზე შემოალამდებაო.
- ❖ უგზოდ მავალი დაიღლებაო.
- ❖ უთავბოლო ტირილი მკვდარს ფეხებს გააქნევინებსო.
- ❖ უთავკაცო სოფელში ცხოვრებას და უპურმარილი ოჯახში პურის ჭამას მყუდრო ადგილზე ბალახის მოძოვა ჯობიაო.
- ❖ უთქმელის პური მთქმელმა შეჭამაო.
- ❖ უკაცო ქვეყანაში თხას აბდულრაჰმანი დაარქვესო.
- ❖ უმამოდ დარჩენილი ოჯახი გაიბზარა, უდედოდ დარჩენილი – დაინგრაო.
- ❖ უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაესია.
- ❖ უპატრონო საყდარს ეშმაკები დაეპატრონენო.

- ❖ ურემი რო გადაბრუნდება, გზაც მაშინ გამოჩნდება.
- ❖ ურემს რომ სიმძიმე დააწვება, მაშინ აჭრიალდება.
- ❖ ურია წყალს მიჰქონდა და გზაც ის იყოვო.
- ❖ ურია წყალს მიჰქონდა და გზაც იქით ჰქონდაო.
- ❖ უსტის სახლს კარი არ კიდიაო.
- ❖ უსწავლელი კაცი სოფლის ტვირთიაო.
- ❖ უსწავლელი კაცი უტარო ცულიაო.
- ❖ უსწავლელი კაცი ქვაზე დაჯდა, ქვა ქვას მიემატაო.
- ❖ უქონელი კაცი ქვაზე მაგარიაო.
- ❖ უყადრობას ზღვა დუულევიაო.
- ❖ უყაირათობას ზღვა დაუცლიაო.
- ❖ უცოდინარი კაცი უტარო ცელიაო.
- ❖ უძალლო ქვეყანაში კატები აყეფდნენო.
- ❖ უჭკუო თავი ფეხების მტერიაო.
- ❖ უხეირო ტირილი მკვდარს ფეხებს გაანძრევინებსო.
- ❖ უხეირო ხელოსანი იარალს დააბრალებსო.
- ❖ უხოჯო ადგილზე თხა ფეილამბრათ დუუყენებიათ.
- ❖ უხსენებლის ნაკბენი მორჩება, კაცისა – არაო.

❀ ჰ ❀

- ❖ ფათერაკს თვალი არ უჩანსო.
- ❖ ფარა შებრუნდა და კოჭლი ცხვარი წინ მოექცაო.
- ❖ ფარცაგი მანახე, გაქცევას განახებო.
- ❖ ფაფაზე კოვზი დარჭობილი რომ იყოს, ჭამას ყველა მოახერხებსო.
- ❖ ფაფის მჭამელს კოვზი ხელში უნდა ეჭიროსო.
- ❖ ფაჩიფუჩი უნდა გაიგონო, თვარა ბრაგაბრუგს ყველაი გაიგონებსო.
- ❖ ფაჩიფუჩი უნდა გეიგონო, თვარა ბრახაბრუხუნს ყველაი მიხტებაო.
- ❖ ფეშტემალი ხან მოგათბობს, ხან მოგხრავსო.
- ❖ ფეხი იმდენზე გამართე, რამდენი სიგრძეც საბანს აქვსო.
- ❖ ფეხი იმხელაზე უნდა გაწვადო, სანამდისაც შენი საბანი გაწვდებაო.
- ❖ ფეხმძიმე ქალს ერთი ფეხი მიწაში აქო.
- ❖ ფეხს საბნისდაგვარ გაშლა უნდაო.
- ❖ ფეხსაცმელი მოხუცს ქუსლში გაუცვდება, ახალ-გაზრდას – ჭვინტშიო.

- ❖ ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.
- ❖ ფლანგვით თუ იცხოვრე ახალგაზრდობისას, ში-  
მშლით მოკვდები სიბერისას.
- ❖ ფრჩხილი ხორცს ვერ მოშორდებაო.
- ❖ ფულით და სიცოცხლით კაცი არ გაძლებაო.
- ❖ ფული რომ გაქ, ყადრი მაშინ ქენი, თორემ, რომ არ  
გექნება, ყადრი ისეც ნაქნარიაო.
- ❖ ფული ფულთან მიდისო.
- ❖ ფურმა იწველა, იწველა, ბოლოს ფეხი ჰკრა და და-  
აქციაო.
- ❖ ფუტკარი განა ფრენისთვის? თაფლისთის დაარ-  
ქვესო.
- ❖ ფულით შეიძლება ჯოჯოხეთი გაანათო, მაგრამ  
ვერ დაინახო ედემის ბალიო.
- ❖ ფუხარა კაცს ქვა აღმართში მეენევაო.
- ❖ ფუხარას რომ ჭკვა ქონდეს, იაფფასიან საქონელს  
არ იყიდისო.

გ

- ❖ ქათამმა ჩხრიკა, ჩხრიკაო,  
დანა გამოჩერიკაო.
- ❖ ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შეხედაო.
- ❖ ქალამანი ოქროშიც რომ ამოავლო, მაინც ქალა-  
მანიაო.
- ❖ ქალამანი, რაც უნდა ადიკალონი აპკურო, მაინც  
ქალამანიაო.
- ❖ ქალი აშენებულ ოჯახს დააქცევს და დაქცეულს  
ააშენებსო.
- ❖ ქალი გვარზე საძებარიაო.
- ❖ ქალი დაგავსებს, ქალი აგაშენებსო.
- ❖ ქალი დაგამხობს, ქალი დაგამსობსო.
- ❖ ქალი – თმითაო,  
ხარი – რქითაო.
- ❖ ქალი ეშმაკზე ერთი დღით ადრე დაბადებულაო.
- ❖ ქალი სახლის დირეგიაო.
- ❖ ქალი სხვისი კერის ნაცარიაო.
- ❖ ქალი ქალთან რომ დაყუყდება, ღმერთი დაავი-  
წყდებაო.



- ❖ ქალი – ქმრითაო,  
ცხვარი – მთითაო.
- ❖ ქალი შვილებით ფასდებაო.
- ❖ ქალისთვის ისევე აუცილებელია დედობა, როგორც მცენარისთვის – ნაყოფი.
- ❖ ქალს თმა უხდება, ცხენს – კუდიო.
- ❖ ქალის ენა ეკლის გამოფხეჭილზე მწარეაო.
- ❖ ქალს თვალები და ყურები არ' ნა ქონდესო.
- ❖ ქალს თვალები რომც არ ქონდეს, კაცზე ბევრს მაინც ხედავსო.
- ❖ ქალის დუშმანი კაბის კალთააო.
- ❖ ქალის პირში სიტყვა დაავადმყოფდებაო.
- ❖ ქალის მზითებს დილის ძილი სჯობიაო.
- ❖ ქალის ჭკუა ბარდის ფურცელზე იყო და ისიც თხას მოუკნეტიაო.
- ❖ ქალის ჭკუა თხამ ღობეზე მიაჭამაო.
- ❖ ქალი შეითანზე ერთი თვით ადრე დაბადებულიაო.
- ❖ ქალ რომ ბაღვები მიესწრა, თავის დასავარცხნად ვეღარ მეიცალაო.
- ❖ ქალს აქალებ – იქალებს და აძალლებ – იძალლებსო.
- ❖ ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო.
- ❖ ქაჩალი თავს არ მოიფხანს, თუ მოიფხანს, სისხლს დაიდენსო.

- ❖ ქაჩალი სავარცხლის გაძვირებას ჩიოდაო.
- ❖ ქაჩალმა რომ წამალი იცოდეს, საკუთარ თავს უნამლებსო.
- ❖ ქვას დადებ, ქვა დაგხვდებაო.
- ❖ ქვა ქვასთან მიგორდებაო.
- ❖ ქვეითი ცხენოსანს დასცინოდაო.
- ❖ ქვეყანა იქცეოდა და ტურას ქორნილი ქონდაო.
- ❖ ქვეყანა იქცეოდა და ქალი ბაზზე ლეკურს უვლი-დაო.
- ❖ ქვისლი ქვისლს წყალში თავაღმა ეძებდაო.
- ❖ ქვრივი ქალი რომ გამოლორდება, რამე ვეღარ შე-აკავებსო.
- ❖ ქოთნის ოც მკეთებელს ერთი მტეხელი ეყოფაო.
- ❖ ქონი ქონს მოძებნის, ჭლესთან რა უნდაო.
- ❖ ქორი ვერ ხედავს, მარა ჭკვა აქო.
- ❖ ქრივ ქალზე მაყაყებ უყროყინიათო.
- ❖ ქრისტე ღმერთი რომ გუთნის დედად გყვანდეს, გუთანი არ მოგეშლებაო.
- ❖ ქურდი თავის სახლს ვერ ააშენებს, სხვისას კი და-აქცევსო.
- ❖ ქუდი სიცივისა კი არაა, სირცხვილისააო.
- ❖ ქურდს რა უნდა და – ბნელი ღამეო.
- ❖ ქუხილით წვიმა არ მოვა, ტყუილით – ლაშქარიო.

## ნ

- ❖ ღამის ქურდს დღისით დაიჭერენო.
- ❖ ღარიბი კაცის დაპურება მადლიაო.
- ❖ ღარიბი კაცის ლუკმა გემრიელიაო.
- ❖ ღარიბი კაცის ლუკმა ტკბილიაო.
- ❖ ღარიბი კაცის პურის ჭამა მადლიანიაო.
- ❖ ღარიბი ქალი და კაცი ცხრაჯერ მოკვდებაო.
- ❖ ღარიბ კაცს ხეირიანი შვილი რომ ჰყავდეს, ღარიბი აღარ იქნებოდაო.
- ❖ ღარით მოყვანილი წყლიდან, გადარგული სიმინდისგან, განათხოვარი ქალიდან ხეირს არ ელოდეო.
- ❖ ღვდელს ჭილოფში იცნობენო.
- ❖ ღვინით გალახულს ჯოხით გალახული ჯობიაო.
- ❖ ღვინის ქურდი თხლეზე დაიჭირესო.
- ❖ ღვინომ კასრი გატეხა და კაცს რას უზამსო.
- ❖ ღვინო ქვევრს ხეთქავსო.
- ❖ ღია გულში ეშმაკი არ იბუდებსო.
- ❖ ღობის განაი დირეგი რომ დალპება, სარები ადვილათ დაჩერდებიანო.

- ❖ ღონესაც მოხმარება უნდაო.
- ❖ ღორი გასუქდა და ინატრა: „— ნეტავი, მგელი შე-  
მახვედრაო!“
- ❖ ღორი ლაფში გასკრას არ მოიშლისო.
- ❖ ღორი რომ გასუქდება, ნეტა მგელს დამაჯახაო!
- ❖ ღორის თავი ხალიჩაზე იდო, იგორა, იგორა და  
ტალახში ჩავარდაო.
- ❖ ღორის ტილი ფეხზე რომ დაისვა, თავზე აგაღოლ-  
დებაო.
- ❖ ღორი ცხვარს ვერ შობსო.
- ❖ ღორმა თქვა, რაც გოჭები მომესწრნენ, სუფთა  
წყალი ვერ დავლიეო.
- ❖ ღორს უთქვამს გოჭები, რომ წამომეზარდნენ, მას  
მერე წმინდა წყალი აღარ დამილევიაო.
- ❖ ღრუბლიანი დღე პატარძალს დილა ეგონაო.



## გ

- ❖ ყეზას თვალი არ უჩანსო.
- ❖ ყეფითა და ყივილით სოფელი არ აშენდებაო.
- ❖ ყვავმა თქვა: „— გაღმა გავალ და თეთრ კვერცხს დავდებო“, მაგრამ როცა გადაფრინდა, იქაც შავი კვერცხი დადო.
- ❖ ყვავს თვალი არ ება და ღმერთს წამნამებს სთხოვდაო.
- ❖ ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო.
- ❖ ყველა გაჭირვებას თითო დალხინება მოყვებაო.
- ❖ ყველა დაბალ ღობეზე გადადისო.
- ❖ ყველა თავის ჭლიკით დაიკიდებაო.
- ❖ ყველაი თითო ტოლი არააო.
- ❖ ყველა მისკენ იფხანსო.
- ❖ ყველა საქმე ქვეყანაზე რიგდება, ცოლ-ქმრობა კი – ზეცაშიო.
- ❖ ყველას მისი მურადი გულში აქო.
- ❖ ყველაფერი არც ითქმება და არც იჭმებაო.
- ❖ ყველაფერი დროს ელის, დრო კი – არაფერსო.

- ❖ ყველა ქვა თავის ადგილზეა მაგარიო.
- ❖ ყველა ძალლი თავის კარზე მამაციაო.
- ❖ ყველა წყალში რომ ჩააფურთხო, რომელი უნდა დალიო?
- ❖ ყველთვინ სხვას არ' ნა აყვე სიმღერისას, ხანდა-ხან მარტვაი იმღერეო.
- ❖ ყველი და პურიო,  
კეთილი გულიო.
- ❖ ყველიპარიას ყველი ესიზმრებაო.
- ❖ ყველის გამყიდველს ყველის სუნი აქვსო.
- ❖ ყირყიტონი იმიტონაა, სიტყვა უკან დააბრუნოსო.
- ❖ ყოველივესა შეძენას შეძლებ,  
ოღონდ ნამუსი, კაცობა შეგრჩეს.
- ❖ ყორნების ნამრავლიდან ბულბული არ გამოვაო.
- ❖ ყრუგველაი კან გეიცლის, მარა შხამი მაინც დარ-ჩებაო.
- ❖ ყურს რა გაზრდისო.
- ❖ ყურს უთქმია, პანაი იმიტომ დავრჩი, ბევრი რამე ვიციო.



## შ

- ❖ შეგნებული და ჭკვიანი მტერიც კარგიაო.
- ❖ შეთვლით შვილი არ გაკეთდებაო.
- ❖ შეითან ფეხი უუწევია და ქალ – დუუდგმიაო.
- ❖ შემპარავი ძალლი მგელზე უარესიაო.
- ❖ შემპარავი ძალლი მყეფარზე უარესიაო.
- ❖ შენი კარი გააღე და სხვისიც ღია დაგხვდებაო.
- ❖ შენი ხელით შენს ცხვირს ნუ მოიტეხო.
- ❖ შენი ენით ბელა არ ნახოო.
- ❖ შენ საბანმან'ნა გაგათბოს და საბანი შენ'ნა გაათბოო.
- ❖ შენთვის ქაფია, მარა ჩემთვის თაფლიაო.
- ❖ „შენი ჭირიმეთი“ შვილი არ გაკეთდებაო.
- ❖ შემორიგებული მტერი კიდევ უფრო მტერიაო.
- ❖ შეშინებული ნაგაზი შვიდ წელიწად მთვარეს უყეფდაო.
- ❖ შეშინებული ძალლი მთვარეს უყეფდაო.
- ❖ შეშინებულ ძალლს შვიდ წელიწადს ჯირეკზე უყეფიაო.
- ❖ შეძლეული ლუკმა ძალლმაც არ ჭამაო.

- ❖ შეძლეულ პურს ძაღლიც არ ეტანებაო.
- ❖ შეძლეულ ხორცს ძაღლიც არ ჭამსო.
- ❖ შვილი გაზრდისაა, ცოლი – მოვლისაო.
- ❖ შვილი მტრულად გაზარდე, მოყვრად გამოგადგე-ბაო.
- ❖ შვილი რომ თავზე ხელს მოისვამს, გვერდზედაც აღარ შემოგხედავსო.
- ❖ შვილი რომ მამას დაეჭიდება, მისი საქმე წამხდა-რიაო.
- ❖ შვილმა რომ ხელის გულზე ერბოკვერცხი მოიხ-რაკოს, მაინც ვერ მოიხდის დედის ამაგსო.
- ❖ შვილმა ხელის გულზე იაღიც რომ დეინვას, დედ-ის ამაგს მაინც ვერ მოიხდისო.
- ❖ შვილს აღზრდა უნდა, გოჭს – გაზრდაო.
- ❖ შვილს დედის თვალები აქვსო.
- ❖ შიმშილს თვალები არ აქვსო.
- ❖ შინმოუსვლელი და მკვდარი ერთიაო.
- ❖ შიში ვერ შექმნის მშვიდობას, სიმხდალე – ვაჟკა-ცობასა.
- ❖ შიში მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო.
- ❖ შიშს დიდი თვალები აქვსო.
- ❖ შორეულ მოყვარეს ახლოს მყოფი გლახა მეზობე-ლი გერჩიოსო.
- ❖ შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო.
- ❖ შორ ნათესავს ახლო მტერი სჯობიაო.



## ბ

- ❖ ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო.
- ❖ ჩემ ბუჯერში კაკანებს, სხვისაში კვერცხს დებსო.
- ❖ ჩემი ავლადიდებაო  
კატას აეკიდებაო.
- ❖ ჩემი ენა ჩემი მტერიაო.
- ❖ ჩემი ენა – ჩემი მტერი,  
იგივ მეგობარი ჩემი.
- ❖ ჩემი ურგები ქოთანი – ქვას და მანონი ძალლსო.
- ❖ ჩემი შენ გითხარიო,  
გული მოგიკალიო.
- ❖ ჩემი ჭადის ნაცრიანი ფიდე შენ თეთრ პურს მირ-  
ჩევნიაო.
- ❖ ჩემმა ენამ დამღუპაო.
- ❖ ჩემმა ტიკტიკა ენამა მევე გამარტყა ყბაშიო.
- ❖ ჩემს იქით თოფი გინდ კუნძს მოხვდეს, გინდ –  
კაცსო.
- ❖ ჩვევა რჯულზე უმტკიცესიაო.
- ❖ ჩიტი მთას დაიბადა და მთას შეაკვდაო.

- ◆ ჩიტი სადაც გაიზრდება, მისი ბალდადი იქ არისო.
- ◆ ჩიტი ცაში არ დაიკარგებაო.
- ◆ ჩიტის სკინტლზე ყიამეთი მოიყვანაო.
- ◆ ჩიტს აფრენა უნდოდა და აფრთხობას ელოდაო.
- ◆ ჩიტს რომ დღე დაელია, ბავშვის ხელში ჩავარდაო.
- ◆ ჩურჩულ-კურკუმმა ქვეყანა დააქციაო.
- ◆ ჩქარი სიტყვაში, მცდარი საქმეში.
- ◆ ჩქმუტა-ჩქმუტაში პატარძალი დაორსულდაო.
- ◆ ჩხუბის მერე მუშტებს არ იქნევენო.
- ◆ ჩხუბში ისეთ სიტყვას ნუ იტყვი, რომ შერიგებისას შეგრცხვესო.



## ც

- ❖ ცადა მიწა იქცეოდა, ტურა ქორნილს მართავდაო.
- ❖ ცალი ხელით არ დატაშუნდებაო.
- ❖ ცალი ხელით ტაში არ დაიკვრებაო.
- ❖ ცარიელი თოფისა ორს ეშინია, სავსესი – ერთსო.
- ❖ ცარიელი კაცი ქვაზე მაგარიაო.
- ❖ ცარიელი ტომარა ფეხზე ვერ დადგებაო.
- ❖ ცარიელი ქვევრი ბევრს რაკუნობსო.
- ❖ ცარიელმა თითმაო პირი გამამთინთლაო.
- ❖ ცარიელ ჯამში ხელს არავინ ჩაყოფსო.
- ❖ ცასა სახელ-სირცხვილ იჭერს, თორემ მიწაზე და-  
ეცემოდაო.
- ❖ ცას ქვეშ რაც კაცია, ყველა სიკვდილისააო.
- ❖ ცერცვი – კედელსა,  
სწავლა – რეგვენსა!
- ❖ ცეცხლის პატარა ნაპერნკალი დიდ გორას გადა-  
წვავსო.
- ❖ ციხე შიგნიდან ტყდებაო.
- ❖ ცოდვა კაცს არ მოასვენებსო.
- ❖ ცოდნა კაცს არ ამძიმებს და არც ეკარგებაო.

- ❖ ცოდნა სამოთხეა და არცოდნა – ჯოჯოხეთიო.
- ❖ ცოდნა სინათლეა, უცოდინრობა – სიბნელეო.
- ❖ ცოლ-ქმრის ჩხუბი ბრიყვს მართალი ეგონაო.
- ❖ ცოცხლათ სიკვდილს კდარი ასჯერ ჯობიაო.
- ❖ ცუდად სიტყვას ნუ დახარჯავ, ვერ შეიგნებს ბრი-  
ყვი კაცი.
- ❖ ცუდად ჯდომას ცუდად შრომა ჯობიაო.
- ❖ ცუდი მეზობლისგან ცეცხლიც ნუ გინდაო.
- ❖ ცუდ მოყვარეს კარგი მტერი ჯობიაო.
- ❖ ცუდი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო.
- ❖ ცული პატარაა, მაგრამ დიდ ხეს წააქცევსო.
- ❖ ცხენიდან გადმოვარდნილი კაცი არ მოკტება და  
ვირიდან გადმოვარდნილი კაცი მოკტებაო.
- ❖ ცხენიდან ჩამოვიდა და ვირზე შეჯდაო.
- ❖ ცხენი თავლაში სუქდებაო.
- ❖ ცხენი ჯიშით ირბენსო.
- ❖ ცხენს მისივე ფეხები იპარავსო.
- ❖ ცხვარი უთხოდ არსად წავაო.
- ❖ ცხვარი ცხვართან მივა, თხა – თხასთანაო.
- ❖ ცხვარი ცხვარია და თუ გაცხარდა, ავიაო.
- ❖ ცხვარო, ვისი ხარო? – ვის კარზეც ვძლავიო.
- ❖ ცხვარში მგელი გაერია, ვაი ერთის პატრონსაო.
- ❖ ცხვირი რომ შუაში არ იყოს, თვალი თვალის მტე-  
რიაო.
- ❖ ცხვრის წინ მორბენალ კრავს მგელი შეჭამსო.

„ბ”

- ◆ ძალა აღმართს ხნავსო.
- ◆ ძალა ერთობაშიაო.
- ◆ ძალლი ახსენე და ჯოხი ხელში დაიკავეო.
- ◆ ძალლი ვინც მოკლა, იმან გადაათრიოსო.
- ◆ ძალლი კოჭლობით არ მოკვდებაო.
- ◆ ძალლი რომ გაწყდა, მგელი სანადიროდ გაჰყავდათო.
- ◆ ძალლი ყეფით ჭამს პურსო.
- ◆ ძალლი ძალლის ტყავს არ დახევსო.
- ◆ ძალლი ძალლს არ უკბენსო.
- ◆ ძალლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო.
- ◆ ძალლი ჰყეფს, ქარავანი მიდისო.
- ◆ ძალლის ნაკბენი ადგილი გასწორდება, გველის ნაკბენი დაპრუნქვილი დარჩებაო.
- ◆ ძალლის ნაკბენი მორჩება, გველის ნაკბენი – არა.
- ◆ ძალლის კუდი არ გასწორდებაო.
- ◆ ძალლმა კბენა არ იცოდა და კაცმა ასწავლაო.

- ❖ ძალლს ბევრი არ აჭამო, თორე ყეფა დაეზარებაო.
- ❖ ძალლს თავის კარზე დიდი გული აქვსო.
- ❖ ძალლს თავის ფარაზე დიდი გული აქვსო.
- ❖ ძალლს სცემდნენ და რძალს ასმენინებდნენო.
- ❖ ძველი რომ იტყვის, წყალი აღმა მიდისო, დუუჯუ-  
რო'ნაო.
- ❖ ძილის წინ სიზმარი არ იქნებაო.
- ❖ ძილს სასთუმალი უნდა, შიმშილს – შეჭამანდიო.
- ❖ ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო.
- ❖ ძროხა გადავარდა და ვირმა იყროყინა: „– მე უნდა  
ამომატანინონო“.
- ❖ ძროხამაც მისი ადგილი იცისო.
- ❖ ძროხას მარილი ატყუებს, კაცს – ენაო.
- ❖ ძროხას რეე ენაზე აქვსო.
- ❖ ძროხას საწველს რომ მუუტანენ, „ხარი ვარო“,  
უღელს რომ მუუტანენ, „ძროხა ვარო“.
- ❖ ძროხის ფეხი ხბოს არ მოჰკლავსო.
- ❖ ძუნწი კაცის ჯამში ლუკმა არ დასველდებაო.
- ❖ ძუნწმა კაცმა თაფლი გასცა, უკან გაჰყვა ლოკვი-  
თაო.



## ❀ წ ❀

- ❖ წაბლი ბუჯგიდან გამოვიდა, ბუჯგი აღარ იკადრაო.
- ❖ წაბლის გადანაჭერზე წიფელა არ ამოვაო.
- ❖ წამხდარ საქმეს არ ეშველებაო.
- ❖ წაქცეულს წიხლი კი არა, შველა უნდაო.
- ❖ წაქცეულს ჯოხი რაღათ უნდაო.
- ❖ წებოს წებო დააწებებსო.
- ❖ წელამდე თუ არ დასველდი, ისე თევზს ვერ დაიჭერო.
- ❖ წელიწადში ერთხელ წესვიც აყვავდებაო.
- ❖ წვიმა მოვა, მაგრამ ქვეყანას ვერ გადასწვდებაო.
- ❖ წინა კაცი უკანა კაცის ხიდიაო.
- ❖ წინ წასული მელაო უკან ჩამორჩებაო.
- ❖ წინ წასული ურემი უკან მიღრიჭინობდაო.
- ❖ წისქვილმა ფქვას და რამდენიც უნდა იხმაუროსო.
- ❖ წისქვილს – წყალიო,  
გუთანს – ხარიო.
- ❖ წინვა-წინვაში ჭიაყელა გამწყდარაო.

- ◆ წმინდა პერი წმინდად წაწყდაო.
- ◆ წყალსაც ზოგვა უნდაო,  
მისვლა-მოსვლა უნდაო.
- ◆ წყალი რომ დაგუბდება, აყროლდებაო.
- ◆ წყალი სათავედან უნდა დაიწმინდოსო.
- ◆ წყალნი წავლენ, მოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო.
- ◆ წყალი ნაყეს, ნაყეს და ისევ წყალი დარჩაო.
- ◆ წვეთს წვეთი დაემატება და ზღვა გახდებაო.
- ◆ წუწკი ღორი სხვებსაც გასვრისო.
- ◆ წყალი და ცეცხლი არც ერთი სანდო არ არისო.
- ◆ წყალი ნავალ ადგილს არ დასთმობსო.
- ◆ წყალი წუთში აიმღვრევა და წელიწადს არ დაწდებაო.
- ◆ წყალნაღებული ხავსს ეჭიდებაო.
- ◆ წყევლა მაწყევარისააო.
- ◆ წყლის გველი არ გიკბენს, მარა ფრთხილათ'ნა  
იყვე, მაინც გველიაო.



## „ჰ“

- ❖ ჭიამ სინათლე ნახა და თვალი ამოიგდოო.
- ❖ ჭიაყელა გველს დაეზმანა და შუაზე გაწყდაო.
- ❖ ჭიაყელამ იწია, იწია და შუაზე გაწყდაო.
- ❖ ჭინჭველას ბუმბულში აწვენდნენ და „ფუჩეჩ-ფუ-ჩეჩ“ იძახდაო.
- ❖ ჭინჭრაქას ბუმბულში აწვენდნენ და „ფუჩეჩ-ფუ-ჩეჩ“ იძახდაო.
- ❖ ჭინჭრის ალაგზე ჭინჭარი ამოვაო.
- ❖ ჭირს გაძლება უნდაო.
- ❖ ჭკვიანი თავის თავს დაემდურება და უტვინო – სხვასაო.
- ❖ ჭკვიანისაგან ძაგება გიჯობდეს სულელისაგან ქებასო.
- ❖ ჭკვიანის მოფიქრებამდე ბეჩმა ხიდი გაირბინაო.
- ❖ ჭკვიანი ქალი ერთი ურბით ათ ბალვ გაზრდისო.
- ❖ ჭკვიანი ქალის ხელში სახლი წინ წამუაო.
- ❖ ჭკუა ყველას აქვს, მაგრამ ყველა კარგად ვერ ხმა-რობსო.

- ❖ ჭკუას მეზობლისგან ვერ ისესხებო.
- ❖ ჭკუა ხანში კი არა, თავშიაო.
- ❖ ჭუნჭრუქაი შავარდენ არ იშობსო.



## ნ

- ❖ ხათრი ზორზე ვარესია.
- ❖ ხალხი მირბოდეს – გაჰყევი, გაჩერდეს – გაჩერდი.
- ❖ ხალხის ყბაში მტერი ჩავარდაო.
- ❖ ხანდაზმულ კაცს სიზმარიც დაეჯერებაო.
- ❖ ხან კაბა დაგრძელდება ხან – პერანგიო.
- ❖ ხან ცხენის დროა, ხან – ცხენის პატრონისო.
- ❖ ხაპი და ქალი გამოდგომაზეაო.
- ❖ ხარბის თვალს შავი მიწა გააძლობსო.
- ❖ ხარი რომ წაიქცევა, დანას ყველა გალესავსო.
- ❖ ხარს რქები არ ამძიმებსო.
- ❖ ხარს რქით დააბამენ, ადამიანს – ენითაო.
- ❖ ხარს უყვარს ის ადგილი სადაც გაძლება, ადამიანს – სადაც დაიბადებაო.
- ❖ ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის ან – ფერსაო.
- ❖ ხასიათით მდიდარი ქონებით მდიდარს გირჩევნოდესო.
- ❖ ხებერი ბალნიდან გამუაო.

- ❖ ხე ერთი შემოკვრით არ წამოიქცევაო.
- ❖ ხეზე მწიფეც ასხია და ჭახეცო.
- ❖ ხელების ტაშა-ტუშით სამას ვერ ისწავლიო.
- ❖ ხელით მისცემ, ფეხით ეძებო.
- ❖ ხელი თუ არ დეინვი, კაი საჭმელს ვერ გააკეთებო.
- ❖ ხელი ხელს ბანს, ორივე კი – პირსაო.
- ❖ ხელმოკლე კაცი ჭკუის მენახევრეაო.
- ❖ ხე ნაყოფით იცნობაო.
- ❖ ხე ფესვებით დგას, კაცი – მოყვრითო.
- ❖ ხე ხეს მეეყუდება, კაცი – კაცსაო.
- ❖ ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი სჯობიაო.
- ❖ ხილი იხილე და მებალეს რას კითხულობო.
- ❖ ხილი იხილე და მეხილესაც ახილეო.
- ❖ ხმელთან ნედლიც იწვისო.
- ❖ ხმლით დაკოდილი სჯობია ცუდის ენით დაკოდილსაო.
- ❖ ხოჯას სახლში კაკალი ბევრია, მაგრამ დათვლილიც არისო.
- ❖ ხოჯა ხოჯის მტერიაო.
- ❖ ხოჯის ნათქვამი დეიჯერე, ნაქნარს ნუ იზამო.
- ❖ ხსოვნას ბევრი რამის გადარჩენა შეუძლიაო.
- ❖ ხუმრობაში კატას თავი გაჰქიცევიაო.
- ❖ ხუმრობაში კაცი მოკლესო.



## ❖ ❁ ❁ ❁

- ❖ ჯამში მწვანილი ერთმა'ნა ნაყოსო.
- ❖ ჯამში ღალატს ომში ღალატი სჯობიაო.
- ❖ ჯარი წავიდა და თოფები მერე დაცალესო.
- ❖ ჯეელობას სიჩუმე შვენის და სიბერეს – საუბარიო.
- ❖ ჯერ არ ვარგა ნავში ჯდომა, მერე – მენავესთან ბრძოლა.
- ❖ ჯერ დათვი არ მოუკლიათ და ყაიშებ გრეხდნენო.
- ❖ ჯერ თავი და თავიო,  
მერე – ცოლი და შვილიო.
- ❖ ჯერ თაო, თაო და მერე – სხვაო.
- ❖ ჯერ ღელეზე გადახტი, „ჰოპლა“ მერე დაიძახეო.
- ❖ ჯერ ცხენი მიაბი და მერე ღმერთს მიანდეო.
- ❖ ჯერ ძილი, მერე სიზმარიო.
- ❖ ჯინიანი კაცი წინ ვერ წაიწევსო.
- ❖ ჯიშსა და ჯილაგს არ ეღალატებაო.
- ❖ ჯიხვს რქებით იცნობენო.
- ❖ ჯორი თქვი და მეჯორე ხელში დაიჭირეო.

- ◆ ჯოხს რომ აიღებ, ქურდი მაშინვე გაიპარებაო.
- ◆ ჯოჯოხეთს ერთი ნიგუზალი ეკლო და ისიც მიუ-  
მატესო.
- ◆ ჯოჯოხეთში ძახილია, გაგონება კი – არაო.

## „**ჰ**“

- ◆ ჲა, ბურთი და ჲა მოედანიო.
- ◆ ჲა, პური და ჲა პირიო.
- ◆ ჲარმად ნაშოვნი ჲარმად წახდებაო.
- ◆ ჲარამი ლუკმა არავის შეერგებაო.
- ◆ ჲაჩი, ვირო არტანელო,  
შეშა-კვარის მამტანელო.
- ◆ ჲაცე, ვირო, ნუ მოკვდები, გაზაფხულზე იონჯა  
მოვაო.
- ◆ ჲაცხან კაი ბერები არ არიან, იქ არც კარქვანი  
ახალგაზრდებია.
- ◆ ჲაცხან წახვალ, იქაური ქუდი'ნა დეიხუროო.

## ლექსიკონი

### პ

აბდალი – სულელი

აბლა (თურქ. abla) – უფროსი და, ბიცოლა, უფრო-  
სი ქალისადმი მიმართვა

ახი – ვალი

### ბ

ბაბა (თურქ. baba) – მამა

ბაგა – გადაღობილი ადგილი ბოსელში ან ეზოში  
საქონლისათვის საკვების ჩასაყრელად

ბადიში – შვილიშვილი

ბაირამი (თურქ. bayram) – დღესასწაული, ზეიმი

ბარჯგი – ბოძი, ბურჯი, სვეტი

ბალანა – ბავშვი

ბალვი – ბავშვი

ბეთარი/ბეთერი (სპ. beter) – ცუდი, უარესი

ბელა (არაბ. bela) – უბედურება, მწუხარება

ბეჩი – უჭკუო, გომებაჩლუნგი

ბლაფვი – სულელი, გონიერასუსტი  
ბურკა – კურკა

## გ

გარგანი – ჯოხი  
გაქესკინება (თურქ. keskin – მჭრელი) – გალესვა  
გონჯი – ცუდი, ავი

## დ

დედე (თურქ. dede) – პაპა, ბაბუა, წინაპარი  
დელი (თურქ. deli) – სულელი, არანორმალურიპა-  
პა, ბაბუა, წინაპარი  
დირეგი//დირელი (თურქ. direk) – ბოძი  
დუნია (არაბ. dünyâ) – სამყარო, ქვეყანა  
დუშმანი (სპ. düşman) – მტერი, მოწინააღმდეგე

## ზ

ზიზია – ჭრელ-ჭრელი  
ზორი (სპ. zor) – ძალადობა, გაჭირვება, გამოუვა-  
ლი მდგომარეობა

## თ

თა – მთა  
თაბაეთი (არაბ. tabiat) – ხასიათი, ზნე, თვისება  
თოხარიკი – კარგად მოსიარულე ცხენი

## 0

იალი (თურქ. yağ) – ცხიმი, ერბო, კარაქი  
იეთიმი (არაბ. yetim) – ობოლი

## 3

კარია – საქათმე  
კოში – კვახის თასი, ჯამი

## 8

მაყაყი – ბაყაყი  
მურადი (არაბ. murat) – სურვილი, მიზანი, მისწრაფება

## 6

სამა – ცეკვა  
სექვი (თურქ. sekvi) – სკამ–ლოგინი, კედლის გასწვრივ გამართული ფიცრის ტახტი  
სიზიბილე (არაბ. zibil) – ჭუჭყი, სიბინძურე, ნაგავი

## 9

ურუბა//ურბა (თურქ. urba) – კაბა, ტანსაცმელი  
უსტა (თურქ. usta) – ხელოსანი, ოსტატი  
უჩმარად – უჩუმრად, მალულად

## ڦ

ڦاڻڙاڻڙاڻڙاڻڙا – ساگوئیڙوئےڻڙو، مونچلڻڙنچ-  
ڻڙو، ڦمادڙاڻڙو

ڦوئِلَّا مَبْرُورٍ (آرآڏ. peygamber) – ڦینا سڻا رمەڻپو-  
ڻڙو، مونچو ڦوئِلَّا

ڦوئِشْتَامَالٌ / ڦوئِشْتَامَالٌ (سპ. peştamal) – ڦينسا-  
ڦاڻڙو

ڦوئِدَةٌ / ڦوئِدَةٌ (تۈرک. pide) – ڦوئِرِي، ڦۇرِي س ڦومى-  
ساڻڙا ڦاڻڙا ڦوئِدَةٌ ڦمداڻڙو

ڦوئِشْمَانٌ (سپ. pişman) – ڦوئِرِي، ڦوئِشْمَانٌ، ڦينسا-  
ڦوئِلَّا

ڦوئِشْهَارَةٌ (آرآڏ. fukara) – ڦاڻڙو، ڦاڻڙا ڦوئِشْهَارَةٌ

## ڦ

ڦا – ڦا

## ڦ

ڦاڻڙو – ڦاڻڙو، ڦاڻڙو ڦاڻڙو

ڦاڻڙو (تۈرک. kayış) – ڦاڻڙو

ڦاڻڙا / ڦاڻڙا (تۈرک. kaza) – ڦاڻڙو ڦاڻڙو، ڦەم تە-  
ڦەم

ڦاڻڙو (آرآڏ. kyamet) – ساڻڙا ڦاڻڙو ڦاڻڙو،  
ڦاڻڙو ڦاڻڙو

Կորպուտոնի – պեղո, եռքեօ  
Պոլամբերո – պաշտամատություն

## Ճ

Շեշտանո (արած. şeytan) – սագանա, ըժմակո  
Շորչա – ճշնդանու կուրծություն

## Ժ

Ժախե – մշակե, պատրաստություն, մշակություն

## Ե

Եցեցրո (արած. haber) – ամեցություն, լուսավորություն

## Ֆ

Ֆարամո (արած. haram) – արամո, արասնորություն, գիտական գիտություն